გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
**სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 2005 წელი.**
№229 (5262)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებური სიტყვაა, ცუდიღებით და ჭორებით ბუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

◎ ვიზიტი




## ნურსულთან ნაზარბაევმა მემორიალი გვირგვინით შეამკო

**საქართველოში** ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გმირთა მოედანზე მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ყაზახეთის დელაგაციასთან ერთად ცერემონიალს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი ესწრებოდა.

გმირთა მოედანზე გამართული ცერემონიის შემდეგ ყაზახეთის პრეზიდენტი მცხეთაში გაემგზავრა.

ინტერპრესნიუსი

## ვინ კითხავს, ბიჭო, სულიას?!



ნახ. მე-4 გვ.

თბილისის მერს დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან დიღომში გადააქვს

◎ ინფორმაცია

### პრეზიდენტის ახალი ინიციატივა

**საქართველოს** პარლამენტის წევრები მიესალმებიან ერთიანი ეროვნული კონსენსუსის გამომხატველი დოკუმენტის შემუშავებას.

როგორც გუშინ ნიკა გვარამიამ აღნიშნა, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა — საქართველოს პარლამენტში შემუშავდეს ერთიანი ეროვნული კონსენსუსის გამომხატველი დოკუმენტი, მისასალმებელია, რადგანაც იგი აუცილებლად დახვეწავს პარტიებს შორის ურთიერთობების კულტურას და მოემსახურება პოლიტიკური კულტურის ამაღლებას.

გვარამიას განცხადებით, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობაში არსებობს პრობლემები. ოპოზიცია კრიზისშია და ხელისუფლებასაც აქვს ამ მხრივ გარკვეული პრობლემები, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნაბიჯი პირველად საქართველოს პრეზიდენტმა გადადგა.

გვარამიას განცხადებით, დოკუმენტში აუცილებლად იქნება აღნიშნული, რომ ქვეყნისა და სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტები არ შეიცვლება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში.

### ამერიკის კონგრესი საქართველოს პარლამენტს დაეხმარება

**ამის** შესახებ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დეპუტატებს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განუცხადა. იგი მოხარულია, რომ ამერიკის კონგრესის დემოკრატიის ხელშემწყობმა კომისიამ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო და კომისიის 16-ვე წევრმა ამერიკის კონგრესის დახმარებას საქართველოსადმი მხარი დაუჭირა. აღნიშნული კომისია, რომელსაც სათავეში დევიდ რეიერი უდგას, დემოკრატიის ხელშეწყობის საკითხებზე მუშაობს.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საქართველოში აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაიწყება. საქართველოს ეწვევა კონგრესის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც ტრენინგებს ჩაატარებენ და შეხვედრებს გამართავენ.

### უყურე შენ ბესო ჯუღელს!..

**საპარლამენტო** ფრაქცია „მაჟორიტარის“ ლიდერი ბესო ჯუღელი საქართველოში თითქმის ყველა უქმე დღის გაუქმებას მოითხოვს.

აღნიშნული კატეგორიული განცხადება გუშინ ჯუღელმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს განუმარტა, რომ პარლამენტის სხდომა მომავალ კვირაში 14 ოქტომბერს ვერ გაიმართება, რადგან ამ დღეს სრულიად საქართველო სვეტიცხოვლობის უდიდეს დღესასწაულს აღნიშნავს.

ბესო ჯუღელმა ამის შემდეგ განაცხადა, რომ აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა ქვეყანაში ყველა უქმე დღე გააუქმოს.

როგორც ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ „ინტერპრესნიუსს“ ჯუღელმა განუცხადა, იგი პარლამენტში აუცილებლად წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას, რომ გაუქმდეს ყველა უქმე დღე, გარდა ახალი წლისა და 26 მაისისა.

„ქვეყანას ძალიან უჭირს. მე ამას კარგად ვხედავ და ტაშფანდურის დრო არ გვაქვს. ამისათვის არ გვცალია“, — აღნიშნა ჯუღელმა.

ინტერპრესნიუსი

## დღეს ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგა გვეწვევა

**დღეს საქართველოს პარლამენტში ლატვიის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ლატვიის პრეზიდენტის ვაირა ვიკე-ფრეიბერგას პირისპირ შეხვედრა.**

მოგვიანებით ორი ქვეყნის პრეზიდენტები ლატვია-საქართველოს ბიზნესფორუმს დაესწრებიან. ლატვიის პრეზიდენტი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმში „მოძრაობა ევროკავშირისკენ“ მიიღებს მონაწილეობას. მოგვიანებით სტუმარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდება.

დაგეგმილია ლატვიის პრეზიდენტის კახეთის რეგიონში გამგზავრება და კულტურული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს ვაირა ვიკე-ფრეიბერგა საქართველოში ლატვიის დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.

ინტერპრესნიუსი




## მივყავართ თუ არა სოროსს სოროში?

„ვიხსნათ სოროსიზმის მსხვერპლი სამშობლო, მოვიშოროთ დამარცხებული ერის სინდრომი. უნდა დასრულდეს ქართული დეპრესიის პერიოდი, დედოზარის შემოკვრის დროა!“

 იხ. მე-3 გვ.

◎ პანორამა

**სადამ ჰუსეინის** სასამართლოსთვის საბრალდებო მასალების საერთო წონა 13 ტონას აღწევს. დოკუმენტები შეიცავენ იმის



მტკიცებულებას, რომ ერაყის ყოფილი დიქტატორი მონაწილეობდა 100 დანაშაულში. სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი 19 ოქტომბერს უნდა დაიწყოს.

* * *



**გერმანიაში** არჩევნების დასრულების შემდეგ, მაინც ვერ გადაწყდა სამთავრობო კოალიციის ბედი. არჩევნები გაიმართა დრეზდენში, სადაც კანდიდატები იბრძოდნენ ერთი მანდატისთვის. გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციურმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა, თუმცა, გერმანიის ძირითად პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის კვლავ შენარჩუნებულია მინიმალური სხვაობა.

## ჩერჩილის, რუზველტის და სტალინის შვილიშვილები ერთმანეთს ჰოლანდიაში შეხვდნენ

**60 წლის შემდეგ ერთმანეთს კვლავ ხვდებიან ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი. თუმცა, არა ზუსტად 60 წლისთავზე, არა იალტაში ან პოტსდამში, არამედ ჰოლანდიის პატარა ქალაქ მაასტრიხტში.**

დიდი სამეულის შეხვედრაზე მეოთხე იყო ჩვენი კორესპონდენტი ევგენი ბარანოვი.

ერთ-ერთ პატარა თბილისურ ბინაში ბოლო მზადება მიმდინარეობდა. ოჯახის უფროსი, 69 წლის გადამდგარი საბჭოთა პოლკოვნიკი აპირებდა გამგზავრებას საზღვარგარეთ, ჰოლანდიაში. პენსიაზე გასვლამდე სარაკეტო ჯარების ოფიცერს ქვეყნის დატოვების უფლება არ ჰქონდა. როცა მოსკოვიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, მან ძალების მოსინჯვა სცადა პოლიტიკაში, თუმცა, ფიასკო განიცადა.

ჯუღაშვილი ემზადებოდა რუზველტთან და ჩერჩილთან შესახვედრად. ევგენი ცდილობდა გაეხსენებინა ყველა ის ფაქტი, რომლებიც ამ შეხვედრაზე შეიძლება დასჭირვებოდა. თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ ევგენი საკმაოდ ნერვიულობდა, რადგან ეს მისთვის უბრალო მოგზაურობა არ გახლდათ — უნდა დაეცვა თავისი პაპის ღირსება, რომელიც თვალითაც არ უნახავს...

ლონდონის ცენტრში მდებარე მდიდრულ ბინაში ცხოვრობს ჩერჩილი. უინსტონ უმცროსი გვესაუბრა თავის თავზე...

**უინსტონ ჩერჩილი, ჩერჩილის შვილიშვილი:** „ამ ფოტოზე პაპასთან ერთად ვარ აღბეჭდილი. გახურებული ომის წლებია“...

იხ. მე-2 გვ.



## საუკუნეთა გამომხმობილი...

**ქართველ** მეფეთა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტულ გალერეას მეტად მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა. ჩვენი ისტორიოგრაფიისთვის დღემდე უცნობი იყო გვიან შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის ისეთი შთამბეჭდავი პერსონაჟის პორტრეტული გამოსახულება, როგორიცაა ქართლის მეფე გიორგი XI (1649-1709). იგი აღმოჩნდა შვედეთის დედაქალაქში, რასაც თავისი ახსნა აქვს.

იხ. მე-4 გვ.

## ვის გაუჩნდა 10,000 დოლარის შოვნის შანსი?




იხ. მე-3 გვ.

## განახლებული 03-ის სიკეთე

**სასწრაფო** სამედიცინო დახმარების ახალი პროგრამის ამოქმედებამ მოსახლეობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, ჯანდაცვის სამსახური ხელმისაწვდომი გახდა. ეს უფრო თვალსაჩინო იქნება, როდესაც ასეთივე წარმატებით ამუშავდება ამბულატორიული ქსელი.




იხ. მე-3 გვ.

◉ პრეზიდენტი

# იმ ყივჩაღების შთამომავლები ისევ გვეხმარებიან

**საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტები გუშინ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, პირველი ქართულ-ყაზახური ეკონომიკური პროექტის პრეზენტაციას დაესწრნენ.**



ქართული „სილქროუდბანკი" და ყაზახური „თურანალემბანკი" რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიისა და სასტუმრო „ივერიის" რეკონსტრუქციას გეგმავენ.

პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 150 მლნ. დოლარს აჭარბებს, 2007 წლის ზაფხულში დასრულდება.

„ამჟამინდელი რესპუბლიკის მოედანი — ეს არის საქართველოს ტრანსფორმაციის ნიმუში. თავის დროზე, აქაურობა განადგურებული და დამარცხებული საქართველოს სიმბოლო იყო და ჩვენ ამ სტერეოტიპს დავანგრევთ ყაზახებთან ერთად. დავით აღმაშენებლის დროს ყივჩაღებმა დახმარების ხელი ერთხელ უკვე გამოგვიწოდეს. დღეს იმ ყივჩაღების შთამომავლები ისევ გვეხმარებიან", - განაცხადა დღევანდელ პრეზენტაციაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, აფხაზეთიდან დევნილებით სავსე „ივერიის" ადგილს თანამედროვე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო დაიკავებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც დასაბამს დაუდებს საქართველოში ახალი ინვესტიციების მოზიდვას.

თავის მხრივ, ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა იმედი გამოთქვა, რომ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე დაწყებული მშენებლობა კარგი ნიშანი იქნება სხვა ინვესტორებისთვისაც.

**ინტერპრესნიუსი**

◉ არჩევნები

# პირწმინდად მოგება გასახარიც არის და შემაშფოთებელიც

**ოპოზიციის თავმოწონების მიუხედავად, რომელიც პრაიმერში ამომრჩეველთა აქტივობაზე ამყარებდა იმედს, 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში, ხუთივე ოლქში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებმა გაიმარჯვეს.**

**ცენტრალური** საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემებით, **№5 ისნის** საარჩევნო ოლქში **ბიძინა ბრეგაძემ 8753 ხმა** მიიღო, „ახალი მემარჯვენეების" კანდიდატმა გიორგი მოსიძემ კი — 5841;

**№57 ტყიბულის** საარჩევნო ოლქში **პავლე კუბლაშვილს 9306-მა ამომრჩეველმა** მისცა ხმა, „ახალი მემარჯვენეების" კანდიდატს ნინო ქვარიანს კი 1894 ხმა ერგო;

**№79 ბათუმის** საარჩევნო ოლქში **8243 ხმით** გაიმარჯვა **ჯემალ ინაიშვილმა, №81 ქობულეთის** საარჩევნო ოლქში კი **13920 ხმით — კობა ხაბაზმა, №82 შუახევის** საარჩევნო ოლქში **5484 ხმით** გამარჯვებულია **ელგუჯა მაკარაძე.**

ელექტორატის აქტივობით გამოირჩეოდა ტყიბულის საარჩევნო ოლქი, სადაც არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობამ 63,61 პროცენტი შეადგინა. პასიურობით კი რატომღაც თავი ბათუმის საარჩევნო ოლქმა „ისახელა".

არჩევნებს აკვირდებოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინა არჩევნებთან შედარებით, 1 ოქტომბრის არჩევნები გამონაკლისი აღმოჩნდა, როცა არც კარუსელებზე და არც ბიულეტენების გაყალბებაზე არ ულაპარაკიათ, დამკვირვებლებმა კი კმაყოფილება გამოხატეს საორგანიზაციო საკითხების მიმართ.

ცესკოს ინფორმაციით, ბათუმისა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში შესულია საჩივრები ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით. საჩივრების განხილვის დასრულების შემდეგ, არა უგვიანეს 18 ოქტომბრისა, უკვე დაიდება შემაჯამებელი დასკვნა.

ბოლო ერთი კითხვა: ვინ მოამძლავრებს ოპოზიციას, თუ არა ელექტორატი? რატომ არ ფიქრობს ამაზე საზოგადოება?

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ პარლამენტის თავმჯდომარე



# შეხვედრა ყაზახეთის პრეზიდენტთან

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა.**

საქართველოს მიმართ ყაზახეთს კონკრეტული ინტერესები გააჩნია. ესენია: სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ტურისტული, პირველ რიგში, სავაჭრო-ეკონომიკური. ნურსულთან ნაზარბაევმა გარკვევით განაცხადა, რომ ყაზახეთი მზადაა ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი აირით მოამარაგოს ურთიერთხელსაყრელი პირობებით და იმ მოცულობით, რაც საქართველოს ამ ეტაპზე დასჭირდება. მან დაინტერესება გამოხატა ასევე, „ტრასეკას" მარშრუტის განახლება-გამოყენებით, კასპიის ზღვის ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გავლით შავ ზღვაზე. დღესვე, საქართველო-ყაზახეთის მთავრობებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას ხელი მოეწერა. მათ შორის, რკინიგზის, საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლის თაობაზე, რაც, ნურსულთან ნაზარბაევის თქმით, ყოველმხრივი განვითარების ხელშემწყობი წინაპირობაა.

**პარლამენტის პრესსამსახური**

# პროექტს მომავალ კვირას მიიღებენ

**რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანის შესახებ დადგენილების პროექტს საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირას მიიღებს. ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა.**

ბურჯანაძის თქმით, დოკუმენტი ისეთ დონეზეა მომზადებული, რომ მას პარლამენტი მომავალი სასესიო კვირის პირველივე დღეს უყრის კენჭს.

დადგენილება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასა და მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებს „მკვეთრად უარყოფითად" აფასებს. პროექტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობოები 2006 წლის 10 თებერვლამდე სრულად არ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, 15 თებერვლიდან პარლამენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას, შეთანხმებების დენონსირებას და არსებული სტრუქტურების გაუქმებას მოითხოვს.

ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება აფხაზეთთან მიმართებაშიც, მხოლოდ ვალდებულებების შესრულების ვადა 1 ივლისი, ხოლო სამშვიდობოების მიერ ქვეყნის დატოვების დაწყების თარიღი 15 ივლისია.

# შეიქმნა ექსპერტთა და მრჩეველთა საბჭო

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ექსპერტთა და მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. რვაკაციანმა საბჭომ ფუნქციონირება უკვე დაიწყო.**

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინფორმაციით, ექსპერტთა საბჭოში ორი უცხოელი ექსპერტი იმუშავებს. ისინი ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ENDI) და ამერიკის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები არიან.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ექსპერტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციაა დახმარება გაუწიოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მის კაბინეტს კვლევითი და ანალიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. აგრეთვე, საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, თუ რაზე უნდა გაამახვილოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა სამდივნომ ყურადღება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული პროექტი 2006 წლის ივლისამდე განხორციელდება, თუმცა, შესაძლოა, კიდეც გაგრძელდეს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ოპოზიცია

# ვინ არის ყველაზე ძვირადღირებული დეპუტატი?

**მემარჯვენეთა ლიდერმა პრესკონფერენცია ამომრჩევლებისათვის მადლობის გადახდით დაიწყო, შემდეგ კი ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს მიულოცა გამარჯვება. თუმცა, დავით გამყრელიძის თქმით, ნაციონალებს მაინცდამაინც საზეიმოდ არ უნდა ჰქონდეთ საქმე, რადგან არჩევნები მათმა პარტიამ კი არა, საბიუჯეტო თანხებმა მოიგო.**

ის, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას სხვადასხვა კანონდარღვევაში, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაში ადანაშაულებს, ახალი არ არის. გამყრელიძემ კიდევ ერთხელ



აღნიშნა, ბიძინა ბრეგაძე ასფალტს აგებდა თავისი სახელითა და სახელმწიფოს ფულით, ხანაც, ბავშვებს ასვენებდა ბორჯომშიო. თუმცა, ბატონმა დავითმა ახალი ინფორმაციაც მოგვაწოდა:

— ჩვენი გათვლებით, ბიძინა ბრეგაძემ თავისი საარჩევნო კამპანიისთვის 7 მილიონი ლარი დახარჯა, შეიძლება, მეტიც. ამბობენ, რომ კიდევ უფრო დიდი თანხა დაიხარჯა კობა ხაბაზის საარჩევნო კამპანიისთვის. თუ შუალედურ არჩევნებზე დახარჯულ, ასტრონომიული ციფრით გამოხატულ თანხას გავითვალისწინებთ, ხელისუფლების მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

დავით გამყრელიძის თქმით, შუალედური არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტში ყველაზე ძვირადღირებული პარლამენტარები მოვიდნენ. თუმცა, რაკი ზუსტად არ იცის, რამდენი მილიონი ლარი დაიხარჯა ქობულეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატზე, ვერ აკონკრეტებს, რომელი უფრო ძვირად ფასობს — ბიძინა ბრეგაძე თუ კობა ხაბაზი.

არჩევნების ასე წაგებას მოხერხება სჭირდებოდა, — ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციის სისუსტეს უსვამენ ხაზს.

— ერთ წელიწადში 97-პროცენტიანი რეიტინგის ასე დაცემას ნამდვილად დიდი მოხერხება უნდოდა, — უპასუხებენ ოპოზიციონერები.

დავით გამრყელიძის თქმით, ისანში გიორგი მოსიძეს მიხეილ სააკაშვილი უპირისპირდებოდა და ოციდან რვა საარჩევნო უბანში წააგო, თორმეტ უბანში კი გაიმარჯვა, თუმცა, არცთუ დამაჯერებლად. ეს მაშინ, როცა, მოსიძის საარჩევნო კამპანიისთვის მხოლოდ 22 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ამას გარდა, გამყრელიძის მტკიცებით, ხელისუფლებამ პრაიმერში მონაწილე ელექტორატი დაბლოკა. ამ მხრივ, წინასწარმა არჩევნებმა ცუდი სამსახური გაუწია ოპოზიციას — ცხადი გახდა იმ მოქალაქეთა ვინაობა, რომლებიც გაერთიანებულ ოპოზიციას უჭერდნენ მხარს. ამდენად, მემარჯვენეთა ლიდერის სიტყვით, ხელისუფლებას მათი დაშინება ან საარჩევნო სიებიდან ამოგდება გაუიოლდა.

შუალედურ არჩევნებზე ძველი ტექნოლოგია არ გამოუყენებიათ, — აღნიშნა გამყრელიძემ, — არც ყალბი ბიულეტენები შეგვინიშნავს, არც — „კარუსელები". თუმცა, არჩევნების გაყალბებისთვის მაინც გამოინახა ეფექტიანი გზა. გამოვლენილი შემაშფოთებელი ფაქტები შეიძლება სამი სახის პრობლემად დაიყოს: 1. საარჩევნო კამპანიისთვის საბიუჯეტო თანხების გამოყენება (ეს ის პრობლემაა, რომელიც დამღუპველად მოქმედებს სახელმწიფოზე და რომელიც ჩვენ ერთად უნდა შევისწავლოთ); 2. არასწორად შედგენილი საარჩევნო სიები; 3. არჩევნების ფარულობის დარღვევა (სასურველი კანდიდატის შემოხაზვის შემდეგ ამომრჩეველს ბიულეტენის ყუთში ჩაშვების ნაცვლად კომისიის წევრთან მიტანა უწევდა, რათა მას ბეჭედი დაერტყა. ამდენად, კომისიის წევრებმა იცოდნენ, რომელმა მოქალაქემ ვის დაუჭირა მხარი. არადა, არჩევნების ფარულად ჩატარება ძალზე მნიშვნელოვანია, მით უფრო მაშინ, როცა ხელისუფლება ოპოზიციურად განწყობილ ელექტორატს ემუქრება).

ასე იყო თუ ისე, ოპოზიცია შუალედურ არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ იმედს არ კარგავს. დავით გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ მომავალ არჩევნებში ხელისუფლება პირწმინდად წააგებს.

**რუსუდან გახარია**

◉ დღის შეკითხვა

# როგორ აფასებთ შუალედური არჩევნების შედეგებს?

**შუალედური არჩევნების ხუთივე ოლქში (ისანი, ტყიბული, შუახევი, ბათუმი, ქობულეთი) ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებმა გაიმარჯვეს.**

ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, უცხოეთში ამგვარ არჩევნებში, ხშირად ოპოზიცია იმარჯვებს ხოლმე. საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, ამიტომაც საზოგადოების დამოკიდებულება ამ არჩევნების შედეგებისადმი არაერთგვაროვანია:

**ნაირა ბუჩუკური, ბიოლოგი:** — როგორ ვაფასებ? გრძელდება ის ცუდი ტრადიცია, რაც შევარდნაძის დროინდელ საქართველოში იყო. არჩევნებში პრეზიდენტმა გაიმარჯვა და არა რომელიმე კანდიდატმა.

**კორნელი მეგრელიძე, პროფესორი:** — ძალიან კარგია, რომ არჩევნები პირწმინდად ნაციონალების კანდიდატებმა მოიგეს. ღირსეულები იყვნენ და იმიტომ. ყველაფერი გონივრულად და კანონიერად მიდის.

**ვალიკო მირიანაშვილი, ზოოტექნიკოსი:** — მე არ ვერევი მაგ საქმეში, არ მაინტერებს, 82 წლის კაცი ვარ, რა შეღავათებიც მქონდა, ყველაფერი მომიხსნეს. 4-5 დეპუტატს ვინ რას ეკითხება, მთავრობას როგორც უნდა, მაინც ისე იქნება.

**ია ძიძიგური, სტუდენტი:** — როცა ხელისუფლებას უკვე მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, როგორ შეიძლება, სადმე, ერთ ადგილას მაინც, ოპოზიციამ არ გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ იჩალიჩა, საქმე თავის სასარგებლოდ წარმართა.

**იური ძაგანია, პენსიონერი:** — რა? არჩევნები? პრეზიდენტი თავის კანდიდატებს თვითონ დაატარებდა ოლქებში და ხალხს ეუბნებოდა, — ეს არის თქვენი დეპუტატიო. სანამ ნაციონალები იქნებიან, იქნება დეპუტატთა დანიშვნა. თავისუფალი არჩევანის უფლება არ გვექნება.

**გიორგი ბაქრაძე, უმუშევარი:** — სიები არ ზუსტდება, მოსახლეობა ხმას ვერ აძლევს. და ვინც აძლევს, ისიც არაფერს ფიქრობს. ხალხმა ხმა ოპოზიციას არ უნდა მისცეს? ასე ხომ ერთპარტიულობისკენ მივდივართ. ეს რა არჩევნებია!...

**ზურაბ მოდებაძე**

◉ კონფლიქტის ზონა

# ერედვზე მკვლელებმა ჩამოიარეს

**ორიოდე დღის წინათ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვის საჭიდაო მოედანზე ასობით ადამიანი მოსულიყო და ინტერესით ადევნებდა თვალს სოფლის ფალავნების ჭიდილს. ბაგაბუგი გაუდიოდა დოლს, ხმაშეწყობილად უკრავდა მედუდუკეთა დასტა და სხვა ჭიდაობას რა უნდა — დარჩეული ბიჭები, მხურვალე გულშემატკივრობა და ნახერხმოყრილი მოედანი!**

— აი, მაშინ რომ ჩამოევლოთ ამ მთვრალ ოსებს, როგორც გუშინ ითავხედეს და ტყვიების ჯერი ასეთივე ხალისით მიეშვირათ ხალხისთვის, ცოდვის კალო დატრიალდებოდა, — მითხრა ერედველმა ზაურ ქრისტესიაშვილმა, როცა გუშინწინ იქ მომხდარი სისხლიანი ფაქტის გამო ერედვში ავედი.

მაშინ კი აი, რა მოხდა: შუადღისას სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ოსების ჯგუფმა თავიანთი „უაზით" ერედვზე დარდიმანდულად ჩამოიარა. ხალხი სალაყბოზე შეკრებილიყო და მშვიდად მასლაათობდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ოსები მთვრალები იყვნენ. მოულოდნელად ერთ-ერთმა მათგანმა იარაღი დააძრო და ხალხს მიუშვირა. შეკრებილთ ჯერ ეგონათ — გვაშინებენო, მაგრამ როცა ცეცხლი გახსნეს, ვინ საით გაიქცა, ვინ — საით. მაგრამ ჯონი ბერუაშვილმა და გელა თამოშვილმა გაქცევა ვერ მოახერხეს — დაიჭრნენ.



ორი თავდამსხმელი დააკავეს, სხვები გაიქცნენ. ერთ-ერთ მათგანს, ალიკ იკაევს დაკითხვაზე თავი გამომწვევად ეჭირა — სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის მუშაკი ვარო.

ცხინვალმაც არ დაახანა და მომხდარს თავისი შეფასება მისცა: ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსები სრულიად უმიზეზოდ აიყვანესო!

ჯერ ცხინვალის ხელისუფლების ნათქვამი სიმართლე რა არის, ახლა, როცა ცრუობენ.

მე თუ მკითხავთ, ეს უბედური ხალხი მთლად დამნაშავეც არ უნდა იყოს... მათ თავგზააბნეულ პრეზიდენტს ხელ-ფეხზე გამობმული ძაფებით ხომ მოსკოვიდან მართავენ.

**გურამ პაპლიაშვილი,**
**„სრ" საკ. კორ.**

◉ უშურველად გვეხმარებიან

# იუნისეფის საშვილიშვილო, ჰუმანური აქცია

## გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში წყალდიდობებით დაზარალებულ მოსახლეობას სასკოლო და სამედიცინო აღჭურვილობით ეხმარება

**ამ დღეებში გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოში წყალდიდობით დაზარალებული 17 რაიონის მოსახლეობას 2 700 სამედიცინო და სასკოლო ნაკრები გაუგზავნა. აღნიშნული დახმარების განაწილებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებსა და დაზარალებულ მოსახლეობაში ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

„ეს არის იუნისეფის ჰუმანიტარული დახმარება წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობისთვის საგანგებო მდგომარეობის შემდგომ პერიოდში. ხალხს ჯერ კიდევ სჭირდება ძირითადი სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები, საგანმანათლებლო ნივთები ბავშვებისთვის" — აცხადებს ქ-ნი ჯოვანა ბარბერისი — იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში. „გაეროს ბავშვთა ფონდი კვლავ განაგრძობს დაზარალებულ რეგიონებში სიტუაციის მონიტორინგს მიმდინარე პროგრამების ფარგლებში".

კერძოდ, იუნისეფის ჰუმანიტარულ ტვირთში შედის რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, აჭარის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისთვის გამიზნული 85 პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები. თითოეული ნაკრები მოიცავს ძირითად მედიკამენტებსა და სამედიცინო აღჭურვილობას, რომელიც გათვალისწინებულია 1000 ადამიანისთვის სამი თვის განმავლობაში.

წყალდიდობით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრებმა 2 616-მა ადამიანმა ჰიგიენური ნივთების ნაკრები მიიღო. თითოეულ ნაკრებში შედის 12 დასახელების ჰიგიენური საგნები ორი მოზრდილისთვის. თითოეულმა დაზარალებულმა ოჯახმა ორი ჰიგიენური ნაკრები მიიღო.

დაზარალებული რეგიონების 166 სკოლაში განაწილდა სასკოლო ნაკრები ნივთები, რომელიც მათ სასწავლო წლის დაწყებისას გამოადგებათ. თითოეული სასკოლო ნაკრები გათვლილია 80 მოსწავლეზე და შეიცავს რვეულებს, ფანქრებს, დაფებს, ყველაფერს, რაც ბავშვს სჭირდება სწავლისა და შემეცნებისათვის.

საქართველოში აპრილ-მაისში მომხდარი წყალდიდობების შედეგად მძიმედ დაზარალდა ათასობით ადამიანი. დაზიანდა ინფრასტრუქტურა, კერძოდ გზები, ხიდები და წყალმომარაგების სისტემები. ყველაზე დიდი ზიანი წყალდიდობამ რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო და ზემო სვანეთის მოსახლეობას მიაყენა, სადაც სახლები თითქმის ან ნაწილობრივ წალეკა წყალმა.

წყალდიდობებისა და ნიაღვრების შედეგად თითქმის 3 000 ოჯახი 1800 ბავშვით იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი. უმრავლესობამ მოახერხა ნათესავებთან და მეზობლებთან თავის შეფარება, ძალიან ბევრი ადამიანი კვლავ საჭიროებს პირველადი მოხმარების საგნებს, ძირითად მედიკამენტებს, სასმელ წყალსა და ჰიგიენის საგნებს.

**გაეროს ბავშვთა ფონდი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჩერჩილის, რუზველტის და სტალინის შვილიშვილები ერთმანეთს ჰოლანდიაში შეხვდნენ

(პირველი გვერდიდან)

როცა უფროსი ჩერჩილი გარდაიცვალა, უმცროსი ჩერჩილი 24 წლის იყო. შვილიშვილი სათუთად ინახავს პაპის ხსოვნას. მის სახლში ყველა ნივთი რელიკვიაა. მარტო პაპის წერილებმა, რომლებიც სამი წლის წინათ გაყიდა, შვილიშვილს 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოუტანა...

**უინსტონ ჩერჩილი, ჩერჩილის შვილიშვილი:** „ეს ჩერჩილის დოკუმენტების ყუთია... ალბათ, ასეთი ნივთი ახლა ძალზე ძვირი ეღირება"...

უმცროსი უინსტონი პაპასავით სამხედრო კორესპონდენტი იყო, ათ ომში იმყოფებოდა, 27 წლის განმავლობაში იყო პარლამენტის წევრი, ახლა წერს მემუარებს და ლექციებს კითხულობს შეერთებულ შტატებში. ამერიკელებმა არ უნდა დაივიწყონ, თუ ვის უნდა უმადლოდეს მსოფლიო ამ სისხლისმღვრელ ომში გამარჯვებას...

უინსტონ ჩერჩილი, ჩერჩილის შვილიშვილი: „ბრიტანეთს სიმტკიცე რომ არ გამოეჩინა, ომის სცენარი შეიძლება სულ სხვაგვარად განვითარებულიყო. ჰიტლერი მთელ სამხედრო ძალას აღმოსავლეთისკენ მიმართავდა. და მაშინ სვასტიკიანი დროშა იფრიალებდა არა მარტო აქ, ლონდონში, ბუკინგემის სასახლის თავზე, არამედ ყველა ევროპული ქვეყნის დედაქალაქში და კიდევ უფრო შორს — აღმოსავლეთით, მოსკოვამდეც კი".

კერტის რუზველტი ამ სახელგანთქმულ შვილიშვილებს შორის ყველაზე უფროსია. იგი 75 წლის არის. ჰოლანდიაში ჩამოვიდა პარიზიდან, სადაც ცხოვრობს მას შემდეგ, რაც სამუდამოდ დატოვა შეერთებული შტატები. როცა მისი პაპა სტალინს შეხვდა იალტაში, კერტისი 15 წლის იყო. მას მიაჩნია, რომ ომი რუსებმა მოიგეს...

**კერტის რუზველტი, რუზველტის შვილიშვილი:** „ახლა ამბობენ, რომ რუსებმა დაიპყრეს პოლონეთი. მაგრამ, მათ ასეთი ამოცანა არ ჰქონდათ დასახული. ეს იყო არმია, რომელიც გამარჯვებისკენ მიილტვოდა. მაშინ, არც ამერიკელებს და არც ინგლისელებს აზრადაც კი არ მოსვლიათ დაკავშირებოდნენ რუსებს აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების გადასარჩენად. ასეთია რეალობა".

**რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის „პირველი არხი", „ვრემია".**

რუზველტის აღიარებით, იგი მაასტრიხტში მიემგზავრება იმისთვის, რომ განაცხადოს: 60 წლის წინათ იალტაში მიღწეული მორიგება არ არის საბაბი სპეკულაციისთვის. იგი ვერ დაუშვებს იმის გაყალბებას, რასაც პაპამისი თავის ცხოვრებაში ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიიჩნევდა...

კერტის რუზველტი, რუზველტის შვილიშვილი: „ჯორჯ ბუშის მიერ ამ ბოლო დროს გაკეთებული ყველა განცხადება, რომლებიც იალტის შეთანხმებებს უკავშირდება, სრულიად უპასუხისმგებლოა... იალტის თემით სპეკულაცია ბუშისთვის ძალზე მომგებიანი გახდა. იგი სარგებლობს იმით, რომ ამერიკელებს აბსოლუტურად არა აქვთ შეგნებული იმ მორიგებათა ნამდვილი მნიშვნელობა, და ცდილობს ამაზე დააფუძნოს თავისი იდეოლოგია"...

მაასტრიხტის აეროპორტში კეთილსინდისიერი ჰოლანდიელები, რომლებიც ნიუანსებში ნაკლებად ერკვევიან, სტალინის შვილიშვილს ახალი ქართული დროშით დახვდნენ. ასეთია ევროპის პოლიტკორექტული შეხედულება ახალ მსოფლიო წესებზე... რუზველტი და ჩერჩილი ერთად ჩამოვიდნენ. პირველი კითხვა ასეთი დასვეს: ჩამოვიდა სტალინი?.. თუმცა, ძნელია ვერ იცნო იგი, ძალზე წააგავს თავის პაპას.

60 წლის შემდეგ ისინი, რომლებსაც რუზველტმა უანდერძა სამართლიანი მსოფლიო, ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან და უსმენენ სტალინს. ჯუღაშვილი აღშფოთებულია ერაყში შექმნილი ვითარების გამო...

**ევგენი ჯუღაშვილი, სტალინის შვილიშვილი:** „ეს არის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის"...

და უცებ, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ჩერჩილი აღტაცებულია კოალიციის ჯარების მოქმედებით, რომლებმაც ერაყელებს ნანატრი მშვიდობა მოუტანეს.



მას რუზველტი კატეგორიულად არ ეთანხმება...

**კერტის რუზველტი, რუზველტის შვილიშვილი:** „მე სავსებით დამაკმაყოფილებდა სადამ ჰუსეინის დამხობა, თუმცა, მიმაჩნია, რომ ერაყში ომის დაწყება არის შეერთებული შტატების მიერ დაშვებული უდიდესი შეცდომა".

დღეს ყველაფერი დასრულდა. ჩერჩილი და რუზველტი გაემგზავრნენ. სტალინი კიდევ სამი დღით დარჩება ჰოლანდიაში. აბა, კიდევ როდის მიეცემა მოხუცს მსოფლიოს ნახვის ასეთი შესაძლებლობა. ისინი ერთმანეთს აღარ შეხვდებიან, რადგან, თემა ამოიწურა. მსოფლიო შეიცვალა, მაგრამ ყველა თავის აზრზე დარჩა — რუზველტი თავისი ილუზიებით, სტალინი — თბილისის სამოთახიანი ბინით, ჩერჩილი კი ლექციებით იმის შესახებ, თუ მაინც ვინ გაიმარჯვა იმ საშინელ ომში...

„ანტისოროსი"

# მივყავართ თუ არა სოროსს სოროში?

**გუშინ ჭადრაკის სასახლეში ახალი საზოგადოებრივი გაერთიანების პრეზენტაცია შედგა. „ანტისოროსი", — ასე ჰქვია მოძრაობას, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა დააფუძნა და რომელშიც საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახეები გაერთიანდნენ.**

საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის მთავარი ინიციატორი ცნობილი ექსპერტი, პოლიტიკური პარტია „წინ, საქართველოს" ყოფილი სახე მაია ნიკოლეიშვილი გახლავთ. საინიციატივო ჯგუფში ასევე შედიან: მეცნიერი ელიზბარ ჯაველიძე, მსახიობი გია ბურჯანაძე და სხვები. გაერთიანებას მხარს უჭერენ საუნივერსიტეტო დარბაზის პროფესორები, ჩოხოსანთა საზოგადოება და იგორ გიორგაძის პოლიტიკური პარტია „სამართლიანობა". მისმა წარმომადგენლებმა თავიანთი ლიდერის მიმართვის ტექსტი პრეზენტაციაზე გაახმოვანეს.

— მოძრაობა „ანტისოროსი" თავისი რიგებისკენ მოუწოდებს საქართველოს ყველა პატრიოტს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ვინაიდან სოროსიზმი ყველა ერისა და რელიგიის მტერია, — ამბობენ „ანტისოროსელები".

— ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რათა ბრძოლისათვის მოგიწოდოთ. ვიხსნათ სოროსიზმის მსხვერპლი სამშობლო, მოვიშოროთ დამარცხებული ერის სინდრომი. უნდა დასრულდეს ქართული დეპრესიის პერიოდი, დედოზარის შემოკვრის დროა, — ხალხს მოუწოდა მსახიობმა გია ბურჯანაძემ.

სოროსს საქართველოს ყველა დროის ყველაზე დიდი მტერი უწოდა ელიზბარ ჯაველიძემ. მან სოროსიზმი წარღვნასაც შეადარა, რომელიც ქართულ ცნობიერებას გადაგვარებას უქადის.

გაერთიანების წევრები სოროსიზმს ანტისახელმწიფოებრივ, არასამართლებრივ, ანტიდემოკრატიულ და ამორალურ მოვლენას უწოდებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ყველაფრის წინააღმდეგ უმოქმედობასა და ხმის აუმაღლებლობას ისტორია ღალატად ჩაგვითვლის და არ გვაპატიებს.

ჯორჯ სოროსს, სხვა ბევრთან ერთად, საქართველოს შიდა საქმეებში უტიფარ ჩარევასაც აბრალებენ.

— სოროსიზაცია საქართველოს კონსტიტუციაზე მაღლა დგება. იგი



აფინანსებს, ამით კი თავისი გავლენის ქვეშ აქცევს პოლიტიკურ პარტიებს, — ნათქვამია მოსახლეობისადმი მიმართვის ტექსტში.

გაერთიანების წევრები ამბობენ, რომ მოძრაობის მიზანი განხორციელებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურები (ოპოზიციური ძალებიც) სრულიად განთავისუფლდებიან ანტისახელმწიფოებრივი, აგრესიული, სოროსული ძალებისგან.

**რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს საზოგადოებრივი გაერთიანება „ანტისოროსი" საკუთარი მიზნების მისაღწევად, რომელ ძალებს მოიაზრებს თავის პარტნიორად ამ ბრძოლაში?** — ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ გაერთიანების შექმნის მთავარ ინიციატორს **მაია ნიკოლეიშვილს:**

— ჩვენ ვიბრძვით არა კონკრეტული პერსონის — ჯორჯ სოროსის, არამედ სოროსიზმის, როგორც იდეოლოგიის წინააღმდეგ. ეს იდეოლოგია დაახლოებით ისეთია, როგორიც თავის დროზე მარქსიზმ-ლენინიზმი იყო, მისი მიზანი ქართული სახელმწიფოებრიობის შერყევაა.

***— ქალბატონო მაია, ხომ არ გეგმავთ თქვენი გაერთიანების პლატფორმის შეცვლას და პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას?***

— „ანტისოროსი" ზეპარტიული გაერთიანებაა, რომლის მიზანიც თავსმოხვეული სოროსული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაა. არა მგონია, „ანტისოროსი" გახდეს პოლიტიკური პარტია ან მოძრაობა.

„ანტისოროსელები" თავიანთ პარტნიორებად მოიაზრებენ და მიიღებენ ყველა იმ გაერთიანებასა თუ ცალკეულ პიროვნებას, რომლებიც საქართველოს სოროსიზაციის წინააღმდეგი არიან და ებრძვიან ამ იდეოლოგიას.

„ჩვენთან ვუხმობთ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რათა მათ სულიერი კათარზისის შესაძლებლობა მივცეთ", — ეს უკვე გია ბურჯანაძის სიტყვებია.

პრეზენტაციის შემდეგ „ანტისოროსის" დამფუძნებლებმა და აქტივისტებმა მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყვეს სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ, ყვავილებით შეამკეს ივანე ჯავახიშვილის საფლავი.

დაბოლოს, ნიშანდობლივია, რომ „ანტისოროსელებმა" მუსიკალურ ფონად ქართული სიმღერა „იყიდება საქართველო" აირჩიეს.

**ჯაბა ხუბუა**

ოპოზიცია

# ვის გაუჩნდა 10.000 დოლარის შოვნის შანსი?

**28 რუსული დროშა, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მომზადებული პლაკატები — „მომავალი ჩვენია", სამენოვანი წარწერა „პოლიტიკური პარტია „სამართლიანობა", ამ პარტიის ბელადის — იგორ გიორგაძის ფერადი ფოტო, — ეს იყო ატრიბუტები, რომელიც გუშინ ფილარმონიის სავსე დარბაზში ბატონობდა.**



რამდენიმე ახალგაზრდამ „ჩემო კარგო ქვეყანა" იმღერა და პარტია „სამართლიანობის" IV (რიგგარეშე) ყრილობაც დაიწყო, რომელიც ხელისუფლების მხრიდან მათი მოთხოვნების შეუსრულებლობას მიეძღვნა. კერძოდ, წინა, 27 ივნისს გამართულ ყრილობაზე ხელისუფლებას ხუთი მოთხოვნა წაუყენეს: ოპოზიციური აზრისა და ოპოზიციონერების დევნის შეწყვეტა, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება, მართლმადიდებლობის დევნის შეწყვეტა, საგარეო ურთიერთობების მოწესრიგება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ ყველაფრის შესასრულებლად ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლებას 100 დღე მისცა, ულტიმატუმის ვადა 5 ოქტომბერს იწურება და პარტიის წარმომადგენლებმაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი აპირებენ შეურიგებელი, უკომპრომისო პოლიტიკური ბრძოლის დაწყებას „სოროსის მიერ დაფინანსებული სააკაშვილის რეჟიმის" წინააღმდეგ. „სამართლიანობის" წევრები მოითხოვენ ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. მათი აზრით, სააკაშვილის რეჟიმი ანტიდემოკრატიული, ანტინაციონალურია, რომელიც ხელყოფს ქართულ ტრადიციებს, მორალურ და კულტურულ ღირებულებებს. გიორგაძის პარტია გასაერთიანებლად უხმობს ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე. გამოცხადდა, რომ გუშინდელი დღიდან პარტიის წევრებმა ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საპროტესტო აქციები დაიწყეს. წინასწარ იციან, რომ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, მაგრამ მოთხოვნებს მაინც აყენებენ.

ტრიბუნიდან ილაპარაკეს პარტიის წევრების ცემის ფაქტებზეც, რაშიც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს ადანაშაულებენ. დაფიქსირებული აქვთ თავდამსხმელთა ავტომანქანების ნომრები. დაზარალებულებმა პოლიციას და პროკურატურას მიმართეს, თუმცა საქმის ობიექტურად გამოძიების იმედი არა აქვთ.

გუშინვე აჭარაში, ოზურგეთში, თერჯოლაში, გორში დაურბევიათ ყრილობაზე მომავალი დელეგატები, დაუმტვრევიათ მათი მანქანები.

დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის თემურ თვალიაშვილის გამოსვლამ მიიქცია, მან „სოროსისა" და საქართველოს პრეზიდენტის ბოროტი ზრახვების" შესახებ ილაპარაკა.

„პრეზიდენტი სააკაშვილი ახალგაზრდებს მორალურად და ზნეობრივად რყვნის. იგი მოზარდებს ეუბნება, — თუ სიყვარული მოგინდათ, ბუჩქებს ამოეფარეთო. ვთხოვ, მიპასუხოს პრეზიდენტმა, თავად რომელ ბუჩქებში გაიცნო თანამზრახველები".

პარტიის ყრილობას იგორ გიორგაძე სატელეფონო ზარებით ხშირად უერთდებოდა. მის მიერ სტოკჰოლმიდან გამოგზავნილი წერილიც წაიკითხეს, სადაც კმაყოფილებას გამოთქვამდა პარტიის მუშაობაზე და მადლობას უხდიდა ნაცემ-ნაჟეჟ აქტივისტებს. წერილში ისიც ეწერა, რომ თუ ვინმე მათი პარტიის წარმომადგენელთან მივა და ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, ასეთებს 10.000 დოლარით დააჯილდოებენ.

ყრილობაზე გამომსვლელები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხსაც შეეხნენ. მათი თქმით, ამ ორი კუთხის გასაღები ხელთ იგორ გიორგაძეს უჭირავს! დღევანდელმა ხელისუფლებამ კი ამ პრობლემების მოგვარება კიდევ უფრო გაართულა.

დასასრულ, პოეზიის მოტრფიალე პარტიის წევრებიც გამოვიდნენ, რომლებმაც იგორ გიორგაძისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსი წაიკითხეს.

**ლელა ხვადაგიანი**

ინფორმაცია

## უნებართვო მონობლოკები დალუქეს

**თბილისის** მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური თხევადი გაზის გასამართი უნებართვო მონობლოკების დალუქვას შეუდგა. სამსახურის რეიდი გუშინ გლდანი-ნაძალადევის რაიონიდან დაიწყო და ერთი კვირის განმავლობაში მთელ ქალაქში გაგრძელდება.

როგორც „მედიანიუსს" ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი საგინაშვილმა განუცხადა, ეს რეიდი გაზის ინსპექციის მიერ ზედამხედველობის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ეწყობა. უნებართვო მონობლოკების რაოდენობა 300 აღწევს. კანონიერი მონობლოკები კი სულ 38-ია.

საგინაშვილის თქმით, უნებართვო მონობლოკების მეპატრონეებს მონობლოკების გაზისაგან დასაცლელად და დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად 10-დღიანი ვადა ეძლევათ. თუკი ისინი 10 დღეში მონობლოკის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტებს ვერ წარადგენენ, ზედამხედველობის სამსახური ამ მონობლოკების დემონტაჟს მოახდენს.

მონობლოკიდან ლუქის მოხსნის შემთხვევაში კი მისი მეპატრონე 1500 ლარით დაჯარიმდება.

ზედამხედველობის სამსახურმა გლდანი-ნაძალადევის რაიონში 25-მდე უნებართვო მონობლოკი უკვე დალუქა.

მედიანიუსი

## თაგვმა თხარა, თხარაო...

**ფინანსური** პოლიციის თბილისის სამმართველომ ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება შპს „ოდას" ხელმძღვანელებისა და ინდმეწარმე „ნინო კუხიანიძის" მიერ ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების ფაქტს. სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით აღიძრა.

გარდა ამისა, თბილისის სამმართველომ სამი სისხლის სამართლის საქმე საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტზე აღძრა. ამ ეტაპზე ეჭვმიტანილები არიან შპს „მთაწმინდა-7"-ის, შპს „სიმბას" და შპს „სცდიპლომატის" ხელმძღვანელები. ამ ფაქტთან დაკავშირებით კი სისხლის სამართლის საქმე 204-ე მუხლით აღიძრა.

## დაიწყება ელექტროენერგიის იმპორტი

„**საქართველოს** გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს. გუშინ 24.00 საათზე 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „სალხინოს" მეშვეობით 60 მეგავატი სიმძლავრე შემოვიდა.

როგორც ინტერპრესნიუსს კომპანიაში განუცხადეს, სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ზამთრის სეზონზე გადამხდელი აბონენტების შეუფერხებელი ენერგომომარაგებისთვის ზრუნვას იწყებს.

ამჟამად ენერგოკომპანიის დღეღამური მოხმარება 4 მილიონ 800 ათას კილოვატსაათს შეადგენს.

## ცოფის წინააღმდეგ აცრა კვლავ უფასოა

**დაავადებათა** კონტროლის ეროვნულ ცენტრში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მომავალ წელს ცოფის დაავადების შესახებ კანონპროექტი მზადდება და ცოფის წინააღმდეგ აცრა ფასიანი იქნება. როგორც „ინტერპრესნიუსს" დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, ცოფის შესახებ არანაირი კანონპროექტი არ მზადდება და არც აცრები გახდება ფასიანი.

ეპიდემიოლოგთა განცხადებით, ცოფის წინააღმდეგ აცრები სახელმწიფოს მიერ ფინანსდება და მსგავსი გადაწყვეტილება შესაბამის უწყებებს არ მიუღიათ.

## სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა

**არასამთავრობო** სექტორის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, გუშინწინ ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბათუმში მსჯავრდებულ ზურაბ ცინცაბაძის ცხედარი გადაასვენეს.

ციხის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პატიმარმა თავი მოიკლა. თუმცა, კაკაბაძე გარდაცვლილის დედის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ზურაბ ცინცაბაძის სხეულზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები აღინიშნება — მას ნეკნები აქვს დაზიანებული და მიყენებული აქვს სხვადასხვა სახის იარები.

## ფალსიფიკაციის ფაქტს იძიებენ

**ფინანსური** პოლიციის კახეთის სამმართველომ ფალსიფიკაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება ინდმეწარმე „კარლო რევაზიშვილს", რომელიც წინასწარი მონაცემებით, ფალსიფიცირებულ ძეხვს ამზადებდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, „ფალსიფიკაციის" მუხლით აღიძრა.

## ვითარება კვლავ დაძაბულია

**ქართულ-ოსური** კონფლიქტის ზონაში გუშინ მომხდარი ინციდენტის შემდეგ ვითარება კვლავ დაძაბულია.

მოსახლეობა აღშფოთებულია და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინციდენტის შედეგად დაჭრილის ჯონდო ბერუაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამოსწორდა, სიტუაციას ვერც ერთი უწყება ვერ გააკონტროლებს.

ცხინვალის ხელისუფლებამ გუშინ, დილით, ოსური სოფლების მიმართულებით ცხინვალიდან სამგზავრო ავტობუსები აღარ გაატარა. ქართული სოფლების გავლით მხოლოდ მსუბუქი ავტომანქანები გადაადგილდებოდნენ და ისიც შეზღუდული რაოდენობით.

ინტერპრესნიუსი

სასამართლო

# სულ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისკენ

**სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსზე პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები მუშაობდნენ. პროექტში, რომელიც უახლოეს დღეებში პარლამენტს გადაეგზავნება, რამდენიმე სიახლეა, ერთ-ერთი 2007 წლიდან საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას გულისხმობს.**

მართალია, ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტის ტრადიცია არ არსებობს, მაგრამ მის შექმნაზე ჯერ კიდევ 1918-21 წლებში ლაპარაკობდნენ, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა.

სანამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიქმნება, მრავალი საკითხი უნდა შეჯერდეს. სწორედ ამიტომ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ნინო გვენეტაძემ და იურისტმა კახა წიქარიშვილმა ქართულ ენაზე თარგმნეს კანადელი იურისტის ნეილ ვიდმარის წიგნი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო". ეს წიგნი უდავოდ დაეხმარება იურისტებს სხვადასხვა საკითხის გარკვევაში. წიგნი ათი ქვეყნის მაგალითზეა განხილული, ლაპარაკია ამ ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებზე. იგი უფასოდ გავრცელდება, რაც ხელს შეუწყობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ საზოგადოებაში სწორი სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბებას, რადგან გამორიცხული არ არის, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი შემადგენლობის წევრი გახდეს, ამისათვის საჭიროა: ლაპარაკობდეთ ქართულად, იყოთ სრულწლოვანი, შეირჩეთ შემთხვევითი საარჩევნო სიიდან და არ გქონდეთ ნასამართლეობა. ნაფიცი მსაჯულობის უფლება არ ექნებათ პოლიტიკოსებს, სამხედროებს, სასულიერო პირებს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ტრადიცია ინგლისიდან მოდის. იგი აშშ-ში, ავსტრალიაში, ესპანეთში, ახალ ზელანდიაში და რუსეთშიც არსებობს. ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით აქტიურია სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, თუ როგორ იმუშავებს ის საქართველოში — მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ — სამოქალაქოზეც. ამ ეტაპზე ვიცით, რომ განაჩენს 12 ნაფიცი მსაჯული გამოიტანს, მოსამართლე კი მხოლოდ სასჯელის ზომას განსაზღვრავს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ იმოქმედებს ყველა სასამართლოში, მათი მუშაობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოხდება, თბილისში ეს პროცესი საქალაქო სასამართლოში წარიმართება.

წიგნი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო" იუსტიციის სამინისტროსა და ევროკავშირში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით ითარგმნა.

ცნობილია, რომ დღეს სასამართლოს პროკურატურის შემადგენელ ორგანოდ მოიაზრებენ, საზოგადოების ნაწილი მომავალ სიახლესაც პესიმისტურად უყურებს, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი ინსტიტუტის დამკვიდრება გაამართლებს და სასამართლო სისტემა თავის სიტყვას ერთხელ და სამუდამოდ სათანადოდ იტყვის.

**ლეილა კახელიშვილი**

სკოლა



# ...სწავლა მოგვიანებით დაიწყო

**გრიგოლ ხანძთელის სახელობის თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის შენობა 26 სექტემბრისთვის მზად არ იყო, რემონტი გვიან დამთავრდა, ამიტომ სწავლაც მოგვიანებით — 3 ოქტომბერს დაიწყო. სკოლის ეზოში შეიკრიბნენ მოსწავლეები, მშობლები, კურსდამთავრებულები... შეკრებილთ მიესალმნენ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაია ზალდასტანიშვილი, პარლამენტარი ნაზი არონია, განათლების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე მანანა კობახიძე და სხვები. მათ გაიხსენეს, რომ აქ სწავლობდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, აწ განსვენებული ზურაბ ჟვანია, საქართველოს ელჩი გერმანიაში მაია ფანჯიკიძე, ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე, ლა-სკალას ოპერის თეატრის ახალგაზრდა მომღერალი ნინო სურგულაძე, პოეტი მამუკა სალუქვაძე და სხვები...**

**...ანძაზე ხუთჯვრიანი დროშა აღიმართა, შესრულდა საქართველოს ჰიმნი, თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლა დაიწყო.**

**ნათელა ფაილოძე**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

სიტყვა და საქმე

# განახლებული 03-ის სიკეთე

**ამას წინათ ჩემმა მარტოხელა მეზობელმა — ხანმოთეულმა ქალბატონმა ტელეფონზე დამირეკა, სულს ძლივს ითქვამდა, იქნებ მიშველო, ძალიან ცუდად ვარო. უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03 გამოვიძახე. მალე მოვიდნენ, ავადმყოფი გულდასმით გასინჯეს, გაუკეთეს, რაც საჭირო იყო და დაელოდნენ. როგორც კი მომჯობინდა, დაგვემშვიდობნენ და წასვლა რომ დააპირეს, პაციენტმა მოიბოდიშა, 28-ლარიანი პენსიონერი ვარო... ექიმმა დაამშვიდა, რომც გქონდეთ, საჭირო არ არის, ამისათვის ჩვენ სახელმწიფო გვიხდისო.**

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ჯანდაცვის პროგრამების დირექტორმა და უფასო 03-ის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორმა **ვახტანგ სურგულაძემ** განაცხადა: ზოგ რაიონში საერთოდ არ იყო 03-ის სამსახური, არც საჭირო რაოდენობის მანქანები იყო, არც საწვავი და აღჭურვილობა, ერთ მანქანაზე დღეში 2 ლიტრი საწვავი იყო გამოყოფილი, მოქალაქე იძულებული ხდებოდა საკუთარი ხარჯებით წაეყვანა სასწრაფოს მანქანა. დღეს ეს წარსულს ჩაბარდა. ახლა გვყავს გამართული ავტომანქანები, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო მე-



დიკამენტითა და მოწყობილობით. ამას გარდა, თითო მანქანაზე დღეში 4 ლიტრი ბენზინი გაიცემა და 10 ლიტრი კიდევ მარაგშია. მას შემდეგ, რაც უფასო 03 ამუშავდა, გაიზარდა გამოძახებათა რიცხვი. ზოგიერთ რაიონში თუ თვეში რამდენიმე გამოძახება იყო, ახლა ასობითაა.

ქვეყანაში ყოველდღიურად 250 ბრიგადა მუშაობს, პროექტში 1000-ზე მეტი ექიმი, 1000 ექთანი, 400 ოპერატორი და 1000 მძღოლია ჩართული. დღეში 1200-1500 გამოძახებაა. რაიონებში ექიმებს 300 ლარი ხელფასი აქვთ, ექთნებს, მძღოლებს და ოპერატორებს 75-75 ლარი. თბილისში ექიმები 400 ლარს, ხოლო ექთნები 150-150 ლარს, ოპერატორები და მძღოლები 100-100 ლარს დროულად იღებენ. მომავალი წლიდან ექთნებს, მძღოლებს და ოპერატორებს ხელფასები გაუორმაგდებათ.

ამ პროგრამის ფარგლებში საჭირო იყო სპეციალური სწავლებების ჩატარება 03-ის ბრიგადების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. წლეულს საჭირო თანხის უქონლობის გამო მხოლოდ 64 ბრიგადის მომზადება შევძელით, თითო რაიონიდან თითო ბრიგადას ვამზადებთ (ექიმი, ექთანი, ოპერატორი, მძღოლი). ამისთვის წლეულს 50 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მომავალი წლიდან ამ თანხის მომატებით შევეცდებით, რომ 4-ჯერ მეტი სპეციალისტი გადავამზადოთ, — თქვა ვახტანგ სურგულაძემ.

03-ის ექიმებს მედიცინის ყველა იმ სფეროში ამზადებენ, რასაც სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჰქვია. პირველი სწავლება ქუთაისში ჩატარდა და მასში იმერეთის, რაჭისა და გურიის ექიმებმა მიიღეს მონაწილეობა. ბათუმში სწავლებას აჭარიდან და სამეგრელოდან, ხოლო ამ დღეებში ბორჯომში მესხეთ-ჯავახეთიდან და შიდა ქართლიდან ჩასული 03-ელი ექიმები გადიოდნენ. ბოლო წვრთნა-შეკრება თბილისში გაიმართება და მასში კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის ბრიგადებს მოელიან.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების წვრთნა-შეკრებას უძღვება ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის კატასტროფული მედიცინის განყოფილების ინფორმაციის მართვისა და უცხოეთის დეპარტამენტის უფროსი ოლიკო ასათიანი. მასში მონაწილეობენ, აგრეთვე ექიმები ანა ლონლაძე და ჯუმბერ მამასახლისი. წვრთნა-შეკრებაგავლილი სპეციალისტები კი თავიანთი 03-ის ცენტრების სპეციალისტებს „გაანათლებენ".

**ოლიკო ასათიანის** თქმით, ექიმების საერთო დონე კარგია, მაგრამ საქმე გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ეხება და საჭიროა, რომ ბრიგადის წევრებმა თანამედროვე ალგორითმები და პროტოკოლებიც იცოდნენ. სალექციო მასალის გაცნობასთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობები ეწყობა. ექიმები დღეში 3-4 მანიპულაციას (მანეკენებზე) ითვისებენ და გამოცდაც პრაქტიკული ნაწილით იწყება. თავიდან ექიმებს ტესტს უტარებენ, მათ კიდეც ერთი ტესტი გამოცდის ბოლოს უწევთ, რითაც იკვეთება თუ სწავლება რამდენად შედეგიანი იყო. შემდეგ გაიცემა ორი სახის სერტიფიკატი: „წარმატებით აითვისა კურსი" და „მოისმინა კურსი".

* * *

**სასწრაფო** სამედიცინო დახმარების ახალი პროგრამის ამოქმედებამ მოსახლეობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, ჯანდაცვის სამსახური ხელმისაწვდომი გახდა. ეს უფრო თვალსაჩინო იქნება, როდესაც ასეთივე წარმატებით ამუშავდება ამბულატორიული ქსელი.

კოორდინატორის თქმით, პროგრამის სრული სიმძლავრით ამოქმედებამდე, ამჟამინდელი მკაცრი მონიტორინგის მიუხედავად, იქნება ხარვეზები, მაგრამ 03-ის მუშაობა თანდათან უფრო დაიხვეწება. ამას ხელისუფლებამ და მოსახლეობამაც უნდა შეუწყოს ხელი, რომ არ იყოს ცუდი გზები, არ იყოს ცრუ გამოძახებები. საზღვარგარეთ სასწრაფო დახმარების მანქანას ყველა გზას უთმობს და ჩერდება. ჩვენთან კი ასე არ არის. ყველა მეტი შეგნებით და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს, ვინაიდან ავადმყოფის ბედს წუთები წყვეტს.

ქალაქად თუ სოფლად 03-ს ხომ ყველგან იმედით ელიან.

**ბელა დუგლიშვილი**

იუსტიცია

# მალე დევნილთა ქონების რეგისტრაცია დაიწყება

**იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაარსებიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე სისტემაში არაერთი ძირეული რეფორმა განხორციელდა საკანონმდებლო, ინსტიტუციური, საზოგადოების ინფორმირების და დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით. საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმა მიმართული იყო ქვეყანაში უფლებათა რეგისტრაციის ერთიანი სისტემის შესაქმნელად.**

ერთწლიანმა წარმატებულმა მუშაობამ აღიარებაც არ დააყოვნა და მსოფლიო ბანკის კვლევების შესაბამისად, ქონების რეგისტრაციაში განხორციელებული რეფორმებით, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციად გამოცხადდა.

საქართველომ, როგორც 2004 წლის საუკეთესო რეფორმატორმა ქვეყანამ, ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა. ახლადშექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია წარმოებს და მოიცავს პროცედურებს: ბიზნესს შეუძლია რეესტრიდან ამონაწერი ცნობა მიიღოს საკუთრების შესახებ და ა. შ. აქამდე ამისათვის სამ ორგანიზაციაში მისვლა იყო საჭირო. ვადები 39 დღიდან 9 დღემდე შემცირდა, ხოლო პროცედურები 8-დან — 6-მდე. საქართველომ ასევე შეამცირა გადასახადები, გააუქმა ქონების გადაცემის გადასახადი და 75 პროცენტით შეკვეცა რეგისტრაციის ღირებულება.

აღსანიშნავია, რომ მუშავდება კანონი დევნილთა ქონების რეგისტრაციის შესახებ, რომელიც რუსი და სხვა ბიზნესმენების მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შეძენილ ქონებას უკანონოდ აცხადებს. დევნილთა ქონების რეგისტრაციის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში ორ კვირაში შევა. იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას განცხადებით, ამის შესახებ რამდენჯერმე აცნობეს ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ქონების დაუფლებას ყველანაირი გზით ცდილობენ. მინისტრის თქმით, ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერი ფაქტი, რომელიც არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, ბათილი იქნება და შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოება მას არ ცნობს, ანუ ეს ინვესტიციები დაიკარგება, ხოლო ყოველი ამგვარი ქმედება დაისჯება.

იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვისაც ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს, საჯარო რეესტრში უნდა მივიდნენ, სადაც ქონების დამადასტურებელ სერტიფიკატს მისცემენ. საბუთების არარსებობის შემთხვევაში კი სასამართლოს უნდა მიმართონ, სადაც მოხდება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა. დევნილთა ქონების რეგისტრაცია პარლამენტის მიერ კანონის დამტკიცებისთანავე დაიწყება.

**ლალი ცქიტიშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 229, სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 2005 წელი.

**გაუტიეს**

# ვინ კითხავს, ბიჭო, სუდიას?!

## თბილისის მერს დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან დიღომში გადააქვს

**ეს ინფორმაცია ისე გავრცელდა, ვითომც არაფერი მაინცდამაინც ყურადსაღები, მაგალითად, როგორც კომუნალური მომსახურების ერთი საკითხი — სანაგვე კონტეინერების ყოველდღიური დაცლა (თუმცა, არც ეს იქნებოდა მეორეხარისხოვანი საქმე).**



თქვენც ხომ გაიგეთ, თვითკმაყოფილმა და თვითკმარმა ქალაქის მერმა, ჩვეულებისამებრ თავდაჯერებულმა გიგი უგულავამ გასული კვირის ერთ ულიმღამო დღეს რომ გვახარა: სახალხო მხატვრის მერაბ ბერძენიშვილის შედევრი — დავით აღმაშენებლის ქანდაკება თბილისის ცენტრიდან ქალაქის შემოსასვლელში გადაგვაქვსო.

ასე გადავწყვიტეთო.

მისი წინა გადაწყვეტილება — პიონერთა სასახლიდან მოსწავლეებისა და პედაგოგების გაყრის შესახებ თბილისელებს ჯერ კარგად არა აქვთ მონელებული და, რა გასაკვირია, რომ ეს ახალი და მოულოდნელი სიხარული ღირსეულად ვერ აღიქვეს. სამაგიეროდ, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ქალაქის მერი ღირსეულ ადგილს იკავებს უნიკალური არგუმენტების კორიფეთა შორის.

**პირველი ხომ გახსოვთ: პიონერთა სასახლე ოპერასთან ახლოს არის და ამიტომ ნინო ანანიაშვილის საბალეტო ცენტრს უნდა მივართვათო.**

**ახლა მეორე, უფრო უკეთესი: დავით აღმაშენებელი დასავლური ორიენტაციის (თუ ღირებულებების მქონე) მეფე იყო და ამიტომ დასავლეთისკენ, დიღომში, აღმაშენებლის ხეივანთან უნდა გადავიტანოთო მისი ძეგლი.**

ქალაქის ცენტრიდან — ქალაქის შემოგარენში, ქალაქგარეთ...

დასავლეთის ორიენტაციას აბრალებენ მეფეს, როცა ისტორიულად პირიქით იყო — მისკენ იხედებოდა დასავლეთი! მეფეს, რომელმაც ზეობის ხანაში მოჭრა მონეტა არაბული წარწერით — „დავითი ძე გიორგისი მახვილი მესიისა“. მეფეს — კავკასიის გამაერთიანებელს, რომელმაც ხატებზე ბიზანტიური წარწერები ქართულით შეცვალა.

ქარ-თუ-ლით!

„ვარდების რევოლუციის“ ქარიშხალი უბერავს რესპუბლიკის მოედანზე: აგერ რამდენი თვეა, „ანდროპოვის ყურებს“ ეჯაჯგურება, ახლა დავით აღმაშენებლის ძეგლს უტრიალებს, ქართული „კატრინა“ — ნიუ-ორლეანის დამანგრეველი ჰაეროვანი არსების ქართული ანალოგი „მერი“.

აღმაშენებელი მოედნის ახალ კონცეფციაში არ ეწერებაო.

თვითონ ხომ ჩაწერეს თავიანთ გადაწყვეტილებაში და — მორჩა!

**ავტორს თუ შეუთანხმეს — ბატონ მერაბ ბერძენიშვილს? — იკითხავენ გულუბრყვილო თბილისელები.**

**— დაარტყი პენალტი, მაჭყანია!**

**— სუდიას არ ნიშნავს...**

**— ვინ კითხავს, ბიჭო, სუდიას?**

**ქუთაისის სტადიონზე გამართული ამ ემოციური მიკროდიალოგისა არ იყოს, ვინ ჰკითხავს ავტორს, როცა ქალაქის მერმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება?**

**ასე არაა, მაჭყანია? თუ „სუდიებზე ნამიოკი“ სანიმუშოდ გაწყობილ-გამართული ჩვენი მართლმსაჯულების შეურაცხყოფად მიგაჩნია, ბიჭო?**

სანამ შენ ფიქრობ, მე უკვე წარმოვიდგინე ასეთი სურათი: დაიძრნენ დასავლეთიდან თბილისისაკენ უცხოელ ტურისტთა ლეგიონები. ახალი აეროპორტი ჯერ აშენებული არ არის. ამიტომ მოდიან ან ფეხით, როგორც ალექსეი პეშკოვი — მაქსიმ გორკი, ან გადახდილი ავტობუსებით. თბილისის შემოსასვლელთან, იქ, სადაც ახლად აღმართეს დავით აღმაშენებლის ძეგლი, „პატრიოტ-რეზერვისტები“ აჩერებენ მათ, როგორც ოსტაპ მარია ბენდერ ბეი არარსებულ ხრამთან ფულის ასაკრებად აჩერებდა მიამიტ საბჭოთა ტურისტებს, და ქანდაკების პიედესტალთან გამართულ ბლიც-მიტინგზე უხსნიან: ეს არის დავით IV აღმაშენებელი, რომელიც იყო დასავლური ორიენტაციის (?!) მეფე. ამრიგად, განათლებულ უცხოელებს თბილისისკენ გზა ხსნილი აქვთ...

აბა, უცოდინარებს ხომ არ შეუშვებენ დასავლური ორიენტაციის ქალაქის ცენტრში?!

ხომ კარგი პერსპექტივაა? თქვენ კი — კომუნალური სიახლეო...

ამასობაში მერია აშენებს კონცეპტუალურად ახალ მოედანს, ძველი საცხოვრებელი სახლები თავისით ინგრევა, ნადავითაღმაშენებლარ ადგილზე სოროსის ძეგლის დადგმაზე ცხადდება კონკურსი, რეფორმირებულ სკოლებში ასწავლიან, რომ სამკუთხედს შეიძლება სამივე კუთხე ბლაგვი ჰქონდეს, თუ საფუძვლად დედაქალაქის მერიის სამკუთხა აზროვნება იქნება დადებული.

**ბენჟამენ კამარილია.**

**P. S. უგულავას ნაქადაგარიდან ერთი კვირა გავიდა და კვლავ — ვითომც არაფერი: არც უკმაყოფილების ქარი ქრის და, მით უფრო, არც მწვერვალებს ედება ქარი — ამათ რა შესწვდება!**

**ბ. კ.**

**ახალი ტექნოლოგიები**

# თუ მოვინდომებთ, სოკოს მოშენებითაც ვისარგებლებთ

**ამ ზაფხულს, შვებულების დროს, ჩემმა ახლობელმა სოკოზე წასვლა მოინდომა. იმის იმედი ჰქონდა, ნაწვიმარია და ტყეში ბლომად იქნებაო. ნურას უკაცრავად, ჩემი უბნის „ნაჭინარევის“ ულამაზეს წიფლნარში ვილაცეებს უკვე მოესწროთ წასვლაც და სოკოს დაკრეფაც. არადა, როგორ მინდოდა ჩემი ხელით დამეკრიფა. ზოგჯერ სეზონი ისე მიდის, ვერცა ვჭამ, არადა იგი სასარგებლოა და გემრიელიც, გულდაწყვეტილმა მითხრა.**

**თურმე, დღევანდელ საქართველოში სოკოთი გამდიდრებაც შესაძლებელია, ოღონდ ამ საქმეს ვინმემ უნდა მოჰკიდოს ხელი და ინვესტიცია ჩადოს.**

ლეილა ბაზერაშვილს, მცენარეთა დაცვის სამსახურის ლაბორატორიის უფროსს, სოკოს მრეწველთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარეს, სწამს, რომ საჭმელი სოკოების ხელოვნური მოშენება შესაძლებელია ნებისმიერ სათავსოში, თუ ტემპერატურის რეგულირებას 10-20 გრადუსის ფარგლებში დავიცავთ. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მისი მორწყვაც და ვენტილაციაც. სოკოს მოყვანა ასევე დიდი რაოდენობით შესაძლებელია ღია გრუნტში ფოთლოვანი მცენარეების კოტრებზე, სათბურის პირობებში კი ითესება სოფლის მეურნეობისა და წარმოების ნარჩენებზე (ნამჯა, სიმინდის ნაქუჩი, მზესუმზირის, ბამბისა და ხე-ტყის გადამუშავების ნარჩენები, ნაკაფი, ბურბუშელა...).

მოსავალი მიიღება დათესვიდან 2-3 თვის განმავლობაში, ხოლო კოტრებიდან მსხმოიარობის 4-6 წლის განმავლობაში სეზონურად.

ასე ხელოვნურად კალმახა სოკოსა და იაპონური სოკო შიი-ტაკეს მოშენება შეიძლება. იაპონური სოკო შიი-ტაკე საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში ბუნებრივ პირობებში გავრცელებული არ არის. ქალბატონი ლეილა აღნიშნავს, რომ იგი შემოტანილი და კულტივირებულია.



ცნობილია, რომ სოკოს, გარდა მაღალი კვებითი ღირებულებებისა, სამკურნალო — კიბოს საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული მოქმედებაც აქვს. იგი აძლიერებს იმუნიტეტს. ეფექტიანია, აგრეთვე შიდსის მკურნალობის დროს.

სოკო ცილებით მდიდარი საკვები პროდუქტია და კვების მრეწველობაში მისი ფართოდ გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ინვესტორს, ისე ქვეყანას.

სოკოსგან დამზადებული მარინადები დიდი მოწონებით სარგებლობს, ხოლო ფხვნილები გამოიყენება ცუკატის და სუპების წარმოებაში რაც ასევე ფართო მოხმარების საგანია. ისიც სათქმელია, რომ სოკოს ფხვნილს სხვადასხვა სახეობის სასმელების დასამზადებლადაც გამოიყენებენ, ხოლო დარჩენილი სუბსტრატით გამოკვებილი საქონელი უფრო მეტ რძეს იძლევა, თანაც იგი ცხიმიანობითაც გამოირჩევა.

ასე რომ, წაგებული არ დარჩება, ვინც ამ საქმეში ფულს ჩადებს, საჭიროა ჩვენიანმაც გაიკრას ჯიბეზე ხელი, ყოველთვის უცხოელის ხელებში ყურება არას გვარგებს.

**ლალი ქინქლაძე**

**აღმოჩენა**

# საუკუნეთა გამოძახილი...

**ქართველ მეფეთა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტულ გალერეას მეტად მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა. ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი იყო გვიან შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის ისეთი შთამბეჭდავი პერსონაჟის პორტრეტული გამოსახულება, როგორიცაა ქართლის მეფე გიორგი XI (1649-1709). იგი აღმოჩნდა შვედეთის დედაქალაქში, რასაც თავისი ახსნა აქვს.**

ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ მოუხდა მუშაობა სტოკჰოლმისა და შვედეთის სხვა ქალაქების არქივსაცავებსა და ბიბლიოთეკებში ქართულ-შვედურ ურთიერთობათა ისტორიის შესახებ იქ დაცული ფაქტობრივი ხასიათის მასალის მოსაძიებლად. ამდენად ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი თითქმის ყოველივე, რაც კი შვედეთში 1701-1711 წწ. ქართველი ბატონიშვილის, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის (1674-1711) ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდებოდა (იქ შესრულებულ მის პორტრეტულ გამოსახულებათა ჩათვლით). კერძოდ, სტოჰკოლმის სახელმწიფო არქივში გამოვლენილი ერთ-ერთი საბუთის მეშვეობით შვედეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე უნიკალური მუზეუმის გრიპსხოლმის ფერწერულ ნაწარმოებთა ფონდში ჩემდა საბედნიეროდ მივაკვლიე ალექსანდრე ბატონიშვილის შესაშინავ პორტრეტს, რომელიც 1703 წელს იყო შესრულებული ცნობილი შვედი მხატვრის მარტინ მეიტენსის მიერ და რომელიც ახლა ფართოდაა ცნობილი. მაგრამ მაშინ არაფერი ვიცოდი სტოკჰოლმში აგრეთვე შემონახული გიორგი XI პორტრეტის შესახებ, რომლის იქ არსებობა, ცხადია, მისი ძმისშვილის ალექსანდრე არჩილის ძის შვედეთში საკმაოდ ხანგრძლივ ყოფნას უკავშირდება. მაგრამ ეს ზოგადი მინიშნება თითქმის არაფრის მთქმელია. ინფორმაცია ამ პორტრეტის აღმოჩენის შესახებ ჩემი შვედი კოლეგებისგან მივიღე, რამაც დიდად გამახარა და შესაძლებლობა მომცა ერთგვარი ისტორიული ახსნა-განმარტება შემემუშავებინა მისი შექმნისა და შვედეთს ჩაღწევის შესახებ, რის შესახებ ქვემოთ მოკლედ მოგახსენებთ.



ვახტანგ V-ის მესამე ვაჟი გიორგი XI ქართლის ტახტს მამის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა და სამეფოს არსებითად მამისეული პოლიტიკის გამგრძელებლად მოევლინა, რაც მეფის ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებასა და ირანის ბატონობისაგან თავის დაღწევას ითვალისწინებდა. მის დაპირისპირებას ირანის შაჰ სულეიმანთან ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის დამოკიდებულებამ მისი უფროსი ძმის არჩილისადმი, რომლის დაპატიმრებასა და ცოლშვილთან ერთად ისპაჰანს წარგზავნას სპარსეთის ალვირახსნილი მფლობელი გიორგის მეშვეობით ლამობდა. მაგრამ როდესაც დარწმუნდა ამ თავისი გეგმის უსუსურობაში, შაჰმა გიორგი ქართლის ტახტიდან გადააყენა და იგი კახელ ბაგრატოვანს, თეიმურაზ I-ის შვილიშვილს ერეკლე I უბოძა, რომელიც ამ მიზნით რუსეთიდან გამოიწვია, სადაც თითქმის ოცი წელი დაჰყო. ამ ნაბიჯით შაჰი ცდილობდა ბაგრატოვანთა ორ შტოს შორის განხეთქილების ჩამოგდებასა და თავისი მზაკვრული მიზნების მიღწევას. მაგრამ ცოტა ხანში სულეიმანი გარდაიცვალა და ირანის ტახტზე მისი მემკვიდრე სულთან-ჰუსეინი ავიდა. ამ უკანასკნელის მმართველობის საწყისსავე ხანას თან დაერთო ირანის იმპერიის საწინააღმდეგო ამბოხებები ავღანისტანში, რის გამოც იგი იძულებული გახდა შერიგებოდა გიორგი XI, რათა მისი მხედართმთავრული ნიჭი და ვაჟკაცური შემართება მეამბოხეთა წინააღმდეგ გამოეყენებინა.

1703 წელს შაჰმა ქართლის ტახტი კვლავ გიორგის დაუმტკიცა, თვითონ ისპაჰანში გაიწვია და ავღანისტანში სალაშქროდ გამიზნულ დიდ ლაშქარს უსარდლა, ხოლო ქართლის გამგებლად (ჯანიშინად) ჯერ მისი ძმა ლევანი, ხოლო შემდეგ ძმისშვილი ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. გიორგიმ ამბოხებული ავღანისტანის დამორჩილება და გარკვეული დროის მანძილზე მისი მართვა მოახერხა, მაგრამ ავღანელებმა შაჰის კარის წაყრუებისა და დაუდევრობის შედეგად იგი 1709 წელს ვერაგულად მოკლეს.

სტოკჰოლმში აღმოჩენილი გიორგი XI პორტრეტის მონაცემების მიხედვით იგი იმავე 1709 წელსაა შექმნილი, რასაც ნაწილობრივ ტილოზე წარმოჩენილი 60-წლოვანი ქართველი მეფის ჩაცმულობა, იერი და გამომეტყველებაც გვიდასტურებს. პორტრეტი ევროპულ ყაიდაზეა შესრულებული და მისი ავტორიც ალბათ ამავე გარემოს წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ. ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ქართველ გვირგვინოსანთა გამოსახულების ჩვენამდე მოღწევას ევროპელი მხატვრის ფუნჯს უნდა ვუმადლოდეთ. საკმარისია გავიხსენოთ გიორგი XI უფროსი ძმის, იმერეთის მეფის არჩილ II და ამ უკანასკნელის ცოლისძმის, ზემოთ მოხსენიებული ქართლის მეფის ერეკლე I ერთობლივი (გვერდიგვერდ) პორტრეტული გამოსახულება, რომელიც ამსტერდამის ცნობილი ბურგომისტრის ნიკოლაას ვიტსენის ნაშრომის „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთის“ 1705 წლის გამოცემამ (გვ. 524) შემოგვინახა. სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში (როგორც გიორგი XI, ისევე არჩილ II და ერეკლე I პორტრეტთა) მხატვრის ვინაობა არ არის დადგენილი.

ნ. ვიტსენის თავის ზემოთ მითითებულ ნაშრომში გაკვრით გვამცნობს, რომ ორივე ქართველი მეფის (არჩილის და ერეკლეს) პორტრეტული გამოსახულებანი მოსკოვში შესრულდა მისი თხოვნის შესაბამისად. მაგრამ ეს ცნობა საფუძველს მოკლებულია, რადგან არჩილსა და ერეკლეს მოსკოვში ერთად ყოფნა არ მოუწიათ: ერეკლემ სპარსეთში გამგზავრებამდე მოსკოვში დაჰყო 1654-1674 წწ., მაშინ როდესაც არჩილი მოსკოვში პირველად ჩავიდა 1685 წელს (მეორედ — 1699 წ.). ამდენად, რუსეთის დედაქალაქში მათი ერთდროულად ყოფნა და პორტრეტების შექმნა გამოსარიცხია.

მაგრამ ვიტსენისეულ ცნობაში სარწმუნოდ ჩანს ის გარემოება, რომ მისი თხოვნის შესრულება ორი ქართველი გვირგვინოსნის ფერწერულ გამოსახულებათა შექმნის შესახებ, როგორც ჩანს, ცნობილ ჰოლანდიელ მხატვარსა და მოგზაურს კორნელის დე ბრეინს (1652-1736) დაევალა, რომელმაც რუსეთსა და სპარსეთში XVIII საუკუნის დამდეგს ნ. ვიტსენის მხარდაჭერითა და ფინანსური ხელშეწყობით იმოგზაურა მოსკოვზე გავლით. სწორედ მაშინ შექმნა მან რუსეთის დედაქალაქში პეტრე I და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტები და, ჩვენი ღრმა რწმენით, იმავდროულად — არჩილ II ფერწერული გამოსახულებაც. სპარსეთიდან რუსეთს მიმავალმა კ. დე ბრეინმა თბილისზე გაიარა, სადაც ერეკლე I წინაშე წარსდგა და მისი პორტრეტიც მაშინ შექმნა. რაც შეეხება გიორგი XI პორტრეტულ გამოსახულებას, რომელიც, შვედი სპეციალისტების აზრით, ევროპელი მხატვრის ნახელავია, არ არის გამორიცხული, რომ ისიც კორნელის დე ბრეინის ფუნჯით იყოს შესრულებული.

ქართველი მეფის პორტრეტის დეტალებიდან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი XI სამეფო სამოსი სრულიად იდენტურია ვახტანგ VI სამოსისია, რომელიც ასტრახანში მიკვლეულ მის პორტრეტზეა გამოსახული, რომ არაფერი ვთქვათ ორივე ისტორიული პიროვნების სახის აღნაგობის იდენტურობასა და ზოგიერთ სხვა დამთხვევაზე, რაც თითქოს ორივე ფერწერული ნაწარმოების ერთსა და იმავე მხატვრის ავტორობაზე მიგვანიშნებს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და ამ თვალსაზრისით შესაძლოა უფრო მისაღები იყოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გიორგი XI პორტრეტი შვედი მხატვრის შექმნილია, რომელიც სპარსეთში ცნობილი შვედი დიპლომატის ლუდვიგ ფაბრიციუსის ელჩობის მონაწილე იყო ისევე, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის შვედი მეგობარი ჰენრიკ ბრენერი. სავარაუდოა აგრეთვე, რომ ამ უკანასკნელის თაოსნობით გამახვილდა ყურადღება გიორგი XI პიროვნებაზე, როგორც სტოკჰოლმში იმხანად მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილის ბიძაზე, და მისი პორტრეტი ელჩობის შინ დაბრუნებისას ქართველ უფლისწულს უშუალოდ სწორედ ჰენრიკ ბრენერმა გადასცა. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტრეტი ამ ელჩობის ისპაჰანში ყოფნისას (1697-1700 წწ.) ან მოგვიანებით (1709 წ.) შეიქმნა, თუმცა სპარსეთში ამ შვედური ელჩობის განმეორებით (მესამეჯერ) ჩასვლის შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ცნობა არ შემორჩენილა.

სხვა ვერსია ამ პორტრეტის შვედეთში ჩაღწევის შესახებ XVIII საუკუნის დამდეგის კონკრეტულ ვითარებას უკავშირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი, როგორც საარქივო საბუთებიდან ირკვევა, არა მხოლოდ დიდად განსწავლული პიროვნება იყო, არამედ აგრეთვე ზედმიწევნით პატიოსანი, სამართლიანი და რელიგიური რწმენით გამსჭვალული ადამიანი. რუს გენერლებს შორის, რომლებიც შვედებმა 1700 წლის მიწურულში ნარვასთან ბრძოლისას დაატყვევეს, ალექსანდრე ასაკით ყველაზე ახალგაზრდა იყო. მიუხედავად ამისა, სწორედ მისკენ ისწრაფვოდნენ ასაკით ბევრად უფროსი რუსი კოლეგები დუხჭირი ცხოვრებით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად, რჩევის მისაღებად ან ურთიერთშორის დაპირისპირებისას სამართლის საძიებლადაც კი. ქართველი ბატონიშვილის ამ თვისებების გამო მის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი არა მხოლოდ განათლებული შვედები, რომლებთანაც მას მჭიდრო კავშირურთიერთობა ჰქონდა, არამედ ტყვე რუსი გენერლების მეთვალყურე დაცვის ცალკეული წევრებიც, და განსაკუთრებით, მათი უფროსი, პოლკოვნიკი ჰუგო ჰამილტონი. წლების მანძილზე ეს უკანასკნელი დაუმეგობრდა კიდეც ალექსანდრე ბატონიშვილს და მის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რაც ერთობ სახიფათო იყო შვედი ოფიცრისათვის. მიუხედავად ამისა, მან ალექსანდრეს ხელი შეუწყო სტოკჰოლმში ქართული შრიფტის ჩამოსხმასა და მოსკოვში მის გადაგზავნაში; იგი უმალ ატყობინებდა ქართველ ბატონიშვილს რუსეთიდან მის სახელზე მოსული კორესპონდენციისა და ამანათების თაობაზე (კერძოდ, 1706 წლის დამდეგს მოსკოვიდან მიღებული წინა წელს იქ გამოცემული „დავითნის“ შესახებ) და სხვა. გამორიცხული არ არის, რომ ერთ-ერთი ასეთი ამანათის სახით ალექსანდრემ მიიღო ბიძამისის — გიორგი XI პორტრეტიც, რომელიც არჩილმა მოსკოვიდან გადაუგზავნა 1706 წ. (ვფიქრობ, ბაგრატ სოლოღაშვილის ხელით). *

პოლტავის ბრძოლის (1709 წ.) შემდეგ მიღწეული შეთანხმების შედეგად ქართველი ბატონიშვილი, როგორც უმაღლესი რანგის რუსი ტყვე — ოფიცერი, გაიცვალა ტყვედ ჩავარდნილ შვედეთის კანცლერ გრაფ კ. პიპერზე, მაგრამ უკვე დასნეულებული ალექსანდრე მოსკოვს გზად მიმავალი ბოტნიის ყურესთან მდებარე პატარა ქალაქ პიტეოში გარდაიცვალა. მისი ამალის წევრები, რომლებსაც დაევალათ ცხედრის ტრანსპორტირება მოსკოვში ფინეთზე გავლით, დაინტერესებული იყვნენ ბარგის შემსუბუქებით, რის გამოც მისი ნაწილი უკანვე, სტოკჰოლმში გადაიგზავნა და ადგილსამყოფელი ჰუგო ჰამილტონის, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის კეთილისმსურველისა და მეგობრის, სამკვიდროში დაიდო. სწორედ ჰ. ჰამილტონის ერთ-ერთი შთამომავლის სახლში აღმოჩნდა ამ მოკლე ხნის წინათ ქართველი მეფის გიორგი XI პორტრეტული გამოსახულება, რომელსაც აქ პირველად ვაქვეყნებ ჩემი მცირეოდენი შენიშვნებით. გიორგი XI იგივე ფერადი პორტრეტი ქვეყნდება აგრეთვე ჩემ ნაშრომთა მესამე ტომის პირველ წიგნში, რომელსაც წლის ბოლოსათვის მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკა“ აქვეყნებს ამავე ტომის მომდევნო სამ წიგნთან ერთად, რომელთა შინაარსიც საქართველოს რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიის პრობლემატიკას ეხება.

**ჯუანშერ ვათეიშვილი**

*** ამ მოსაზრების საფუძვლიანობაზე მიგვანიშნებს ერთი ფრაზა სტოკჰოლმის არქივში მიკვლეული საბუთისა, რომელიც 1706 წ. 18 ნოემბრითაა დათარიღებული და სადაც ჩრეკის შედეგად ალექსანდრე ბატონიშვილის სახელზე მოსკოვიდან მიღებული ამანათის შედგენილობაა დამოწმებული: „რამდენიმე წიგნი ქართულ ენაზე, ნახატი სურათები მათი (ანუ ქართველების — ჯ. ვ.) წმინდანებისა და წერილები ხსენებული პრინცისათვის (ალექსანდრესათვის) გადასაცემად“.**

**ინფორმაცია**

### საქართველოს ხარისხიანი ღვინო ექნება

**გაისად** საქართველოს ხარისხიანი ღვინო ექნება. ამის გარანტიას სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი იძლევა.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მან და პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილმა ერთობლივი პრეს-კონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ კახეთში რთველი უკვე აქტიურ ფაზაში შედის და საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს.

როგორც სვიმონიშვილმა აღნიშნა, კახეთში 70-მდე საწარმო მოქმედებს, რომელმაც უკვე 40 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარა. „წელს ყურძენზე მოთხოვნა 2-3-ჯერ გაიზარდა და ეს ჩვენი წარმატებული რეფორმის შედეგია“, — განაცხადა მინისტრმა.



როგორც ცისკარიშვილმა აღნიშნა, ღვინის ქარხნები წლეულს, სავარაუდოდ, 70 ათას ტონამდე ყურძენს ჩაიბარებს. პრეზიდენტის რწმუნებულის განცხადებით, საქართველოს მთავრობა აქტიურად გააგრძელებს ბრძოლას ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

1 კგ. თეთრი ყურძნის ფასი კახეთში 30-დან 40 თეთრამდე მერყეობს.

### სერტიფიკატები — ფერმერებს

**საქართველოში** მიწის ბიზნესის განვითარება იწყება, რასაც სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია უწყობს ხელს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ გუშინ იმ ფერმერებს გადასცეს მიწის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლებმაც საქართველოში პირველად სასოფლო-სამეურნეო მიწა შეისყიდეს. საგარეჯოში ეს პატივი ხვდათ მოიჯარე ჯაჰან ჰუსეინოვს, აბრამ სამხუაშვილს და შ.პ.ს. „პატარძეულის“ დირექტორს ოთარ ბუჩიაშვილს.

„ეს ფერმერები არიან პირველები, ვინც სასოფლო-სამეურნეო მიწები შეისყიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ამოქმედდა. დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია“, — განაცხადა დამენიამ.

### უცხოელთა დახმარებით

**საქართველოს** მთავრობას „ელექტროკავშირის“ პრივატიზებაში საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია დაეხმარება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, მიმდინარე წლის ბოლოსთვის საკონსულტაციო კომპანიის შესარჩევად ტენდერი გამოცხადდება.

გამარჯვებული კომპანია, სავარაუდოდ, ერთ თვეში გამოვლინდება, იგი „საქართველოს ელექტროკავშირში“ არსებულ მდგომარეობას და მის სამომავლო პერსპექტივებს შეისწავლის.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ვარაუდობენ, მთავრობა „ელექტროკავშირის“ პრივატიზებას, სავარაუდოდ, მომავალი წლის მეორე ნახევარში გეგმავს.

### რუთ რიჩარდსონი იწონებს

**საჯარო** სამსახურის სფეროში რეფორმების მიმდინარეობას საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები აკვირდებიან.

თბილისში ვიზიტად იმყოფება არასამთავრობო საკონსულტაციო ფირმა „რუთ რიჩარდსონ ნიუ ზელანდის“ ხელმძღვანელი რუთ რიჩარდსონი, რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძესა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სვიმონიშვილს შეხვდა.

იგი ეკონომიკის სამინისტროში მიწის მესაკუთრეებისათვის სერტიფიკატების გადაცემის პროცესს დაესწრო.

„კერძო საკუთრება და მისი დაცვა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა და მამოძრავებელია“, — განაცხადა რიჩარდსონმა.

იგი ახალ ზელანდიაში საჯარო სამსახურის სფეროში განხორციელებული რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორია.

### კოჯორში 67 წლის მამაკაცი ჯილეხით დაავადდა

**გარდაბნის** რაიონის სოფელ კოჯორში 67 წლის მამაკაცი ჯილეხით დაავადდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, პაციენტს დაავადების კანის ფორმა აღენიშნება და მკურნალობას თბილისში, ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადის. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ცენტრის ინფორმაციით, პაციენტს დაავადება მიწასთან კონტაქტის შედეგად განუვითარდა. სავარაუდოდ, მიწა, რომელთანაც მამაკაცს შეხება ჰქონდა, ჯილეხის ძველ კერას წარმოადგენდა და დაავადების განვითარებაც ამან გამოიწვია.

გასულ კვირაში, საქართველოში ჯილეხის სამი შემთხვევა დაფიქსირდა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ბედი და ადამიანები

# აინშტაინის ლაგი



**არც** აინშტაინამდე და არც მის შემდეგ მსგავსი სიღრმის მქონე დასკვნები ესოდენ ნათლად არავის ჩამოუყალიბებია. ჟურნალ „ფიზიკის ანალებში" ამ სტატიის გაგზავნისთანავე აინშტაინი უკვალოდ რომ გამქრალიყო, იგი სამუდამოდ დარჩებოდა ადამიანთა მეხსიერებაში როგორც უდიდესი მეცნიერი.

მისი თეორიის ყველა ლოგიკური კავშირი უაღრესად მარტივია. მათი ახსნა-განმარტება შეიძლება, თუ აზრობრივ ექსპერიმენტს დამკვირვებელთან ერთად მოვახდენთ ბაქანსა და სამგზავრო მატარებელზე — იმ დროს გადაადგილების უსწრაფეს საშუალებაზე. აინშტაინს ასეთი მაგალითი მოჰყავს: დამკვირვებელი დგას ბაქანზე პირსახით რკინიგზის ვაკისისაკენ. მისგან თანაბრად დაშორებულ მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე ინთება ორი შუქურა. თუ დამკვირვებელი ორივეს ხედავს, მისთვის შუქურების ანთება ერთდროულად ხდება. მაგრამ იმათთვის, რომლებიც შუქურების ანთებას მატარებლიდან ხედავენ, საქმე სხვაგვარადაა. ვიდრე სინათლე ამ მგზავრებამდე მიაღწევდეს, მგზავრები ასწრებენ გზის ნაწილის გავლას. ისინი შორდებიან ერთ შუქურას და უახლოვდებიან მეორეს, მაშასადამე, ერთი ანთება მგზავრებამდე უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე მეორე. სინათლის სიჩქარე მათთვის ისეთივე მუდმივია, როგორც ბაქანზე მდგომი დამკვირვებლისათვის, და ეს აძლევს უფლებას მგზავრებს ამტკიცონ, რომ ანთება ერთდროულად არ ხდება.

თუ შუქურებს მოვათავსებთ გრძელი (მეტად გრძელი) მატარებლის თავსა და ბოლოში? მაშინ მგზავრებისათვის შემადგენლობის შუა ნაწილში შუქურები ერთდროულად აინთება, ხოლო ბაქანზე მყოფი დამკვირვებლისათვის შუქურების ანთება დროში ერთმანეთს ვერ დაემთხვევა. ის, რასაც ერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, როგორც დროებით შუალედს, მგზავრები როგორც ერთ გაელვებას.

აი მახვილი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაკვეთა წინააღმდეგობათა გორდიას კვანძი, რომელზედაც მრავალი წლის მანძილზე თავს იმტვრევდნენ ფიზიკოსები და ფილოსოფოსები! მთელ სამყაროში უბრალოდ არ არსებობს ისეთი გაელვება, რომლის აღნიშვნა შეიძლებოდეს სიტყვით „ახლა". დიახ, მაგალითად, მატარებლისა და ხომალდის „მყარი სხეულის" შიგნით გამეფებულია, აინშტაინის ენით რომ ვთქვათ, „უძრავი სისტემის დრო". ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს მატარებელი მოძრაობს თუ დგას — საკუთრივ იგი უძრავია. მაგრამ, როგორც კი ორი „მყარი სხეული" ერთმანეთისაკენ დაიძრება, თითოეულ მათგანს ექნება თავისი საკუთარი დრო და, მაშასადამე, თავისი საკუთარი „მალე".

აინშტაინმა გარდაქმნა გალილეის წარმოდგენებისაკენ ალმავალი ფარდობითობის პრინციპი: უძრავად მდგომელის საათი და მოძრავი საათი უფრო ნელა მუშაობენ, ვიდრე მისი საკუთარი საათი. ეს ფარდობითობა არის სწორედ აინშტაინის დიდი ვარაუდი. მისი თეორიის თანახმად, დროებრივი მონაკვეთი შესაძლოა **სხვადასხვანაირი დონით** იყოს ხანგრძლივი დამკვირვებლის მოძრაობის მდგომარეობის კვალობაზე. ეს სუბიექტური აღქმა კი არა, ობიექტური ფაქტია — მისი გაზომვა შეიძლება ისეთი მოწყობილობით, როგორიც არის საათი!

**რალაც ამის მსგავსი სამართლიანია სხეულთა განფენილობისათვის.** მოძრაობა — ეს არის გზის ოდენობა რაღაც დროისათვის, გაზომვის ერთ-ერთ მიღებულ ერთეულში — რაღაც ამდენი მეტრი წამში.



1919 წელს აინშტაინმა ცოლად შეირთო თავისი ბიძაშვილი ელიზა

თუ უძრავად მდგომი დამკვირვებლისათვის წამი მოძრავ მატარებელში უფრო მეტხანს გრძელდება, მან უნდა დაასკვნას, რომ „მატარებლისათვის" ბაქნის მეტრი მოკლდება და მასში მსხდომმა მგზავრებმა უნდა დაინახონ, რომ ბაქანი „მცირდება". ხოლო ისეთი სიჩქარისას, რომელიც სინათლის სიჩქარესთან ახლო დგას, იგი ბაქნის მეტრს აღიქვამს, დავუშვათ, როგორც სანტიმეტრს. ამასთან „თავიანთი საკუთარი" მეტრი ორივე დამკვირებლისათვის, რა თქმა უნდა, კვლავაც მეტრად რჩება.

**სერ ისააკ ნიუტონი ეფუძნებოდა აბსოლუტური დროის იდეას — ასე ვთქვათ, „ერთიან საათს" მთელი სამყაროსათვის.** მისი ვარაუდით, დრო მიედინება თავისთვის და თანაბარზომიერად თავისი ბუნების გამო. განა ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე მას სწორედ ასე არ აღიქვამს? მაგრამ აინშტაინმა საგანს სხვაგვარად შეხედა — მან გააბსოლუტურა სინათლე — გარდაქმნა იგი დროისა და სივრცის მბრძანებლად.

აინშტაინისეული თეორიიდან გამომდინარეობს ფორმულები, რომელთა მეშვეობით შეიძლება გამოანგარიშდეს სხეულების უცნაური ქცევა „რელიატივურ" სისტემაში. თუ ჩვენს ახლოს გაიფრენდა 11-მეტრიანი კოსმოსური ხომალდი სინათლის სიჩქარის 90 პროცენტის სიჩქარით, იგი 5-მეტრიანად მოგვეჩვენება (კოსმონავტისათვის ხომალდის სიგრძე იგივე 11 მეტრი იქნებოდა). თუ მისი სიჩქარე თეორიულად (პრაქტიკულად ეს შეუძლებელია) მიაღწევს სინათლის სიჩქარეს, მაშინ გვერდით დამკვირვებელს ასეთი ხომალდის სიგრძე ნულის ტოლად მოეჩვენებოდა.

როგორ შეძლო აინშტაინმა ასეთი დასკვნების გამოტანა? „მის აზროვნების სიახლეს, — წერს ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგი ჰოვარდ ჰარდნერი, — საფუძვლად უდევს უნარი — ერთდროულად მოიფიქროს სივრცობრივი სახეები და მათემატიკური ფორმულები, დააფიქსიროს ემპირიული მოვლენები და გადაჭრას ელემენტარული ფილოსოფიური პრობლემები". ჰარდნერი განსაზღვრავს გენიოსს, როგორც „მარადიულ ბავშვს", რომელიც თამაშისას ხსნის თავისი დროის უდიდეს გამოცანებს.

აინშტაინი თვითონვე ცდილობდა აეხსნა, როგორ მოხდა, რომ სწორედ მან აღმოაჩინა ფარდობითობის თეორია: „მოზრდილი ადამიანი არ ფიქრობს სივრცე-დროის პრობლემებზე. ყველაფერი, თუ რა შეიძლება იცოდეს მათზე, მან უკვე სიყმაწვილეში მოიფიქრა. სივრცისა და დროის გამო გაოცება მხოლოდ მაშინ დავიწყე, როდესაც უკვე ჭკუა მეკითხებოდა. ბუნებრივია, პრობლემურ საკითხებს ღრმად ჩავუჯექი, ვიდრე ამას ჩვეულებრივი ბავშვები აკეთებენ".

ჰარვარდელი პიტერ გალისონი კიდევ ერთ ფაქტორზე მიუთითებს: XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი ტექნიკური ამოცანა იყო სინქრონიზაცია — ერთდროულობის მიღწევა. იმისათვის, რომ მატარებლები გრაფიკის მიხედვით ზუსტად შედიოდნენ სადგურებში, ხომალდები — ნავსადგურებში, ხოლო ჯარები შეთანხმებულად მოქმედებდნენ, საჭირო იყო მაქსიმალური სიზუსტით დაეყენებინათ საათები ერთმანეთის მიმართ. იმ დროის საპატენტო ბიუროები რეგულარულად იღებდნენ განაცხადებს ამ დარგში გამოგონების შესახებ. გალიანის ხატოვანი თქმით, ბერნის საპატენტო ბიუროში მუშაობისას აინშტაინს თითი თითქმის თავისი დროის მაჯაზე ეჭირა.

**ფარდობითობის სპეციალურ თეორიას საბოლოო მწყობრი სისტემა** სხვა ადამიანმა მისცა. ჰერმან მინკოვსკი აინშტაინის მასწავლებელი იყო ციურიხის პოლიტექნიკუმში. მინკოვსკიმ თავისი ყოფილი სტუდენტისათვის იპოვა მათემატიკური გამოთქმა, რომელსაც ჩვენს დღეებშიც არ დაუკარგავს აქტუალობა. „ამიერიდან სივრცე თავისთავად და დრო თავისთავად მთლიანად იძირებიან ჩრდილთა სამეფოში, და მხოლოდ ამ ორ ცნებათა თავისებური კავშირი ინარჩუნებს დამოუკიდებელ არსებობას", — განაცხადა მინკოვსკიმ 1908 წელს. მათემატიკურად ჩამოყალიბებულმა აინშტაინის თეორიამ შეიძინა ის სიცხადე, რომელიც შესაძლებელს ხდიდა, გაეგოთ იგი პირველი შეხედვით, როგორც გიჟური შეხედულებანი, მაგალითად, ტყუპების პარადოქსი...

ჩვეულებრივ სამგანზომილებიან სივრცეში უძრავი სხეული ოთხგანზომილებიან მინკოვსკის სივრცე-დროში მოძრაობს თითქოსდა დროის ღერძის გასწვრივ. ამ შემთხვევაში სხეული „ბერდება", და მეტი არაფერი. ასეთი რამ, არსებითად, ხდება თითოეულ ჩვენგანში, რაოდენადაც აქტიურად ვეცადოთ სივრცეში გადაადგილებას. მანძილებთან შედარებით, რომელთა გადალახვას სინათლე ახერხებს, ჩვენი გადაადგილება სივრცეში იმდენად უმნიშვნელოდ მცირეა, რომ პრაქტიკულად ვმოძრაობთ მხოლოდ დროის ღერძის მიხედვით, ამიტომაც შეუჩერებლივ ვბერდებით.

მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ, რომ ოდესმე შევძლებთ გადაადგილებას სივრცე-დროში სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით, მაშინ შინაგანი დამკვირვებლისთვის დრო, რომელიც ამ ხანში გაივლის, თითქმის ნულამდე შემცირდება.

მეორე მხრივ, თვით სინათლე თავის გზას გადის სივრცე-დროის მიხედვით სამ სივრცობრივ განზომილებაში. დამატებითი — დროის — გაზომვისათვის არაფერი რჩება. სინათლის ნაწილაკები მოძრაობენ არა დროში, არამედ დროსთან ერთად, მათთვის „ახლა" იგივეა, რაც „მარად". ისინი ნიადაგ თავიანთ გაელვებაში „ცხოვრობენ". „საათი-მზე" დგას.

მხოლოდ 1915 წელს, როდესაც აინშტაინი უკვე გახდა პრუსიის აკადემიის წევრი და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, მან მინკოვსკის სივრცულ-დროებრივი კონცეფციის საფუძველზე დაამთავრა თავისი ცხოვრების ნაშრომი — ფარდობითობის ზოგადი თეორია. მასზე მუშაობასთან შედარებით ფარდობითობის სპეციალურ თეორიაზე მუშაობა, როგორც ერთხელ თვით აინშტაინმა განაცხადა, ბავშვური გართობა იყოო. მას თითქმის ათი წელი დასჭირდა, რათა ეპოვა „ველის მართვის" საჭირო ფორმულები, რომლებიც დღემდე ზოგად შემთხვევაში ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.



ფიზიკოს ოპენგეიმერთან აინშტაინს დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა.

**იურგენ ნეფფე**

GEO

2005 წლის სექტემბერი, №9

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 225-227.

# თურქული ჩიხი



**ევროპის კავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ლუქსემბურგში მიმდინარე შეხვედრაზე ცდილობენ ჩიხიდან გამოიყვანონ ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყების ირგვლივ შექმნილი სიტუაცია.**

როგორც შეხვედრის თავმჯდომარემ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ აღნიშნა, არ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოლაპარაკება დაიწყება დადგენილ დროს.

ანკარასთან ოფიციალური მოლაპარაკების დაწყება უნდა გახდეს ევროკავშირის შემადგენლობაში თურქეთის შესვლის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. გვიან საღამომდე გაჭიანურებული ინტენსიური დებატების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა თურქეთთან ფორმალური კონსულტაციების დღის წესრიგის შეთანხმება.

ანკარა მტკიცედ ადგას თავის პოზიციას და უარს აცხადებს ნებისმიერ ისეთ წინადადებაზე, რომელიც არ ეხება ევროპის კავშირის შემადგენლობაში თურქეთის სრუფლებიან წევრობას. თურქი დიპლომატები ამაზე ნაკლებს არ თანხმდებიან და აღნიშნავენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ უარს იტყვიან მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოგანმა კვლავ დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს დათანხმდეს რაიმე კომპრომისს. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია: ევროკავშირმა გამოთქვა წინადადება მოლაპარაკების შინაარსში ცვლილებების შეტანის შესახებ, მაგრამ ეს უარყო თურქეთის მხარემ.

მოლაპარაკების ოფიციალურად დაწყებისთვის საჭიროა, რომ დღის წესრიგი დაამტკიცოს ევროკავშირის 25-ვე წევრმა; თვით მოლაპარაკებას კი შეიძლება 10 წელიც დასჭირდეს.

თურქეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე ასეთი შეხვედრის გამართვის წინააღმდეგ გაილაშქრა ავსტრიამ, რომლის წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ ევროკავშირს შეუძლია, ანკარას შესთავაზოს „პრივილეგირებული წევრობა" სრული წევრობის ნაცვლად. ავსტრიის კანცლერმა ვოლფგანგ შიუსელმა აღნიშნა, რომ ევროპამ უნდა გაითვალისწინოს თავისი მოქალაქეების შეშფოთება კავშირის გაფართოების თაობაზე.

ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა პირობის დასაკმაყოფილებლად თურქეთს დიდი სამუშაოს შესრულება მოუწევს. ანკარამ, კერძოდ, თავისი კანონმდებლობის სტრუქტურაში უნდა შეიტანოს ევროკავშირის წესების კრებული. როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ დუსტ-ბლაზიმ აღნიშნა, თურქეთს „ძალზე ბევრი აქვს გასაკეთებელი".

# ერთ-ერთი კამიკაძე ვიდეოფირზე აღბეჭდეს

**ინდონეზიის პოლიცია შეისწავლის ვიდეოფირს, რომელზეც აღბეჭდილია იმ სამი ტერორისტი-კამიკაძიდან ერთი, შაბათს ბალის პოპულარულ კურორტზე რომ განახორციელეს აფეთქებები, რის შედეგადაც დაიღუპა 27 და დაიჭრა 125 კაცი.**

ინდონეზიის სპეცსამსახურების ანტიტერორისტული ქვეგანაყოფის შეფმა ანშად მბაიმ განაცხადა, რომ სავარაუდოდ, ტერორისტული აქტი ორგანიზებული იყო „ალ-ყაიდასთან" დაკავშირებული „ჯემაა ისლამიის" დაჯგუფების მიერ. ტერაქტებთან დაკავშირებით იძებნება ორი მალაიზიელი ტერორისტი — აზაჰარი ბენ ჰუსინი და ნურბი ტოპი. გამოკვლევის პირველი შედეგების მიხედვით, აგრეთვე, ვიდეოფირის ნახვის შემდეგ, დაადგინეს, რომ ტერაქტის ეს სავარაუდო ორგანიზატორები არ ყოფილან კამიკაძეთა შორის.

ვიდეოფირზე, რომელიც პოლიციელებს ჩაუვარდათ ხელში, დაფიქსირებულია მომენტი, როცა ერთ-ერთი კამიკაძე შედის რესტორანში ზურგჩანთით. იგი ზურგჩანთაში რაღაცას ასწორებს და გადის კადრიდან. ორიოდე წამის შემდეგ ხდება აფეთქება.

შაბათს, ბალიში თითქმის ერთდროულად მოხდა სამი აფეთქება: ორი კაფეში და ერთი — ქალაქ ქუთის მოედანზე — უცხოელი ტურისტების საყვარელ დასასვენებელ ადგილზე. ანშად მბაის ვარაუდით, ამფეთქებლების სახით გამოიყენეს მობილური ტელეფონები, რომლებზეც ერთდროულად დარეკეს კამიკაძეების თანამზრახველებმა.

დაღუპულთა შორის 12 ინდონეზიელია, ერთი ავსტრალიელი და ერთიც იაპონიის მოქალაქე. დანარჩენი ცხედრები ჯერჯერობით ამოუცნობია. საავადმყოფოებში მოათავსეს ათობით უცხოელი ტურისტი. უკანასკნელი მონაცემებით, დაჭრილია 49 ინდონეზიელი, 17 ავსტრალიელი, 6 ამერიკელი, 6 კორეელი და 3 იაპონელი.

# არგენტინა ყველა საეჭვო თვითმფრინავს ჩამოაგდებს

**ამერიკის სამიტის დროს არგენტინა ჩამოაგდებს ყველა საეჭვო თვითმფრინავს.**

„არგენტინის მთავრობამ თეთრ სახლს აცნობა, რომ ყველა საეჭვო თვითმფრინავს, რომლებიც ნებართვის გარეშე შევლენ ამერიკის სამიტის მუშაობის დროს ფრენისთვის აკრძალულ ზონებში, გაანადგურებენ", — წერდა არგენტინული გაზეთი „კლარინი", რომელიც ოფიციალურ წყაროებს იმოწმებდა.

გაზეთის მონაცემებით, ამ მიზნებისთვის შეერთებული შტატები არგენტინას მიაწვდის უკანასკნელი მოდიფიკაციის „ჰაერი — ჰაერი" კლასის 6-8 რაკეტას.



ამ ზეზუსტ იარაღს ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩაიტანენ არგენტინაში. მოგვიანებით, რაკეტებს განალაგებენ ა-4 ტიპის ავიაგამანადგურებლებზე, რომლებიც საკურორტო ქალაქ მარ-დელ პლატიდან 160 კილომეტრზე მდებარე ტანდილის სამხედრო-საჰაერო ბაზაში არიან დაბანაკებულები. სწორედ მარ-დელ პლატაში უნდა გაიმართოს 4-5 ნოემბერს ამერიკის სამიტი.

ამავე დროს, როგორც გამოცემა აღნიშნავს, არგენტინაში არ არის კანონი, რომელიც თვითმფრინავის ჩამოგდების ნებას რთავს. ამასთან დაკავშირებით, არგენტინის პარლამენტს სასწრაფოდ გაუგზავნეს კანონის პროექტი, რომელიც საგანგებო შემთხვევებში დამრღვევი თვითმფრინავების ჩამოგდების უფლებას იძლევა.

როგორც მოელიან, სამიტში მონაწილეობას მიიღებს დასავლეთი ნახევარსფეროს 34 სახელმწიფოს მეთაური, მათ შორის, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

სახელმწიფოთა მეთაურების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით არგენტინაში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ.

მაღალი თანამდებობის პირების დაცვისთვის გამიზნულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ 11.500 არგენტინელი პოლიციელი და სპეცსამსახურების თანამშრომელი, გარდა ამისა, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები. კერძოდ, უმაღლესი დონის შეხვედრის დღეებში საბრძოლო პატრულობას განახორციელებენ ავიაგამანადგურებლები, სანაპირო წყლებში იმორიგევებს ორი ფრეგატი, ქალაქში საბრძოლო პოზიციებზე განალაგებენ საზენიტო-სარაკეტო ბატარეებს.

# მოკლედ

**სტრასბურგში** იხსნება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შემოდგომის სესია. როგორც მოელიან, სესიის ძირითადი თემები გახდება იმ ვალდებულებათა მონიტორინგი, რომლებიც უკრაინამ იკისრა ევროპის საბჭოში შესვლის წინ, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი კომისრის არჩევნები.



* * *

**ფლორიდაში** პესტიციდების გამო დაიბადნენ დეფორმირებული თავის ქალის მქონე ბავშვები. ინციდენტთა სერიის შემდეგ, შტატის უდიდესმა Ag-Mart Produce სასოფლო-სამეურნეო კომპანიამ გამოაცხადა, რომ აღარ გამოიყენებს პესტიციდებს პამიდვრის მოყვანის დროს. კომპანიის თანამშრომლებს შეეძინათ ტვინის დეფექტების მქონე ბავშვები. დაიწყო გამოძიება.



* * *

**შეერთებულ შტატებში** სასეირნო გემის გადაბრუნების შედეგად დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი. ტრაგედია მოხდა ნიუ-იორკიდან ჩრდილოეთით, ადირონდაკის მთებში მდებარე ჯორჯის ტბაში. გემი გადაბრუნდა იმიტომ, რომ მეორე უფრო დიდმა ტურისტულმა ხომალდმა მის გვერდით ჩავლის დროს გამოიწვია დიდი ტალღები. გემზე 49 კაცი იმყოფებოდა. დაღუპულთა უმ-



რავლესობას ხანდაზმული კანადელი ტურისტები შეადგენდნენ.

* * *

**ტაჯიკეთში** ერთმანეთს შეეჯახა ორი ავტობუსი: 21 ადამიანი ცოცხლად დაიწვა. კატასტროფა მოხდა სამხრეთ ტაჯიკეთის ხათლონის ოლქში. „იკარუსის" მარკის ავტობუსის მძღოლმა ვერ დაიმორჩილა სა-



ჭე და მანქანა გადავიდა შემხვედრ ზოლზე, რის შემდეგაც, მას გაუსკდა პირველი წინა ბორბალი. ავარიის შედეგად, იგი შეეჯახა „კავზ"-ის მარკის ავტობუსს, რომელიც თხევადი გაზით მუშაობდა.

* * *

**მედიცინის** დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ ავსტრალიელები ბარი მარშალი და რობინ უორენი. ჯილდო მათ მიენიჭათ Helicobacter pulori ბაქტერიის აღმოჩენისა და გასტრიტისა და კუჭის წყლულის დროს მისი როლის გამოკვლევისთვის. სწორედ ამ ბაქტერიის მოქმედებით აიხსნება თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევათა 90 და გასტრიტის შემთხვევათა 80 პროცენტი. მეცნიერები გაიყოფენ პრემიას, რომლის თანხა მიმდინარე წელს შეადგენს 10 მილიონ შვედურ კრონს (დაახლოებით 1,3 მილიონი ამერიკული დოლარი).



◎ ლიტერატურული კურიერი

აშშ

## რომანი, რომელიც დღის სინათლეს ვერასდროს იხილავს

**ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოაჩინეს ტრუმენ კაპოტეს სადებიუტო გამოუქვეყნებელი რომანის ხელნაწერი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად თვლიდნენ. იგი თითქმის ორმოცი წელი იდო ძველ ფოტოსურათებთან და დოკუმენტებთან ერთად ყუთში, რომელიც მწერალმა 1966 წელს დატოვა ნიუიორკისეული ბინიდან გადასვლისას.**



ტრუმენ კაპოტე.

ეს გახლავთ „საზაფხულო გადაკვეთა", 200-გვერდიანი ნაწარმოები, კიდევ 89 გვერდი უკავია შესწორებებსა და დამატებებს. რომანს სიუჟეტად უდევს 17 წლის ჭაბუკის, სახელად გრედ მენილის, მაღალი საზოგადოების ცხოვრების მოყვარულის, ცხოვრებისეული ამბები.

კაპოტე თავისი პირველი რომანის წერას შეუდგა 1943 წელს, მალე მას შემდეგ, რაც სამსახური დაიწყო ჟურნალ „ნიუ-იორკერში", საიდანაც, მართალია, მალე დაითხოვეს იმისათვის, რომ უნებლიეთ შეურაცხყო რობერტ ფროსტი. შინ, ალაბამაში რომ დაბრუნდა, უიღბლო ჟურნალისტმა რომანზე მუშაობა განაგრძო, მაგრამ ახლა სხვა იდეა დაეუფლა. „ჩემ ოთახში ჩავიკეტე, „საზაფხულო გადაკვეთები" მაგიდის ქვედა უჯრაში ჩავკეტე, ავილე წვერწამახული ფანქრები, ხაზიანი სუფთა ბლოკნოტი, ტანსაცმლიანად ჩავწექი ლოგინში და ერთი ამოსუნთქვით დავწერე „სხვა ხმები, სხვა ოთახები", — მოჰყავს მწერლის სიტყვები მის ბიოგრაფს ჯერალდ კლარკს.

1948 წელს წიგნი დაისტამბა, და კაპოტე მაშინვე ცნობილი გახდა. მოგვიანებით იგი რამდენჯერმე დაუბრუნდა გადადებულ ხელნაწერს, თან წაიღო ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში მოგზაურობისას, მხოლოდ 1950 წელს მწერალმა საბოლოოდ თავი ანება ხელნაწერზე მუშაობას ისე, რომ არ დაუმთავრებია იგი. ერთი სიტყვით, ზედმეტად მიიჩნია მისი გამოქვეყნება.

ამ მიზეზის გამო „ზაფხულის გადაკვეთებმა" საეჭვოა, წიგნის სახით დღის სინათლე იპოვოს. ჯერჯერობით ცნობილია ის, რომ აგენტმა, რომელიც კაპოტეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას განაგებს, ხელნაწერი სოტბის აუქციონზე წარადგინა.

საფრანგეთი

## სიტყვები, რომლებიც უნდა გადავარჩინოთ

**ბერნარ პივოს წიგნი „100 სიტყვა, რომლებიც უნდა გადავარჩინოთ" (გამომცემლობა „ალბენ მიშელი") არ გახლავთ არქაიზმების ლექსიკონი, არამედ წარმოადგენს მანიფესტს, რომელიც სამოქმედოდ მოგვიწოდებს. მასში მწერალი, ჟურნალისტი და პოპულარული ლიტერატურული გადაცემის ყოფილი ტელეწამყვანი სინანულით აცხადებს, რომ გაღარიბდა ფრანგული ენა, და გვთავაზობს ამ პრობლემის გადაჭრის ერთობ უჩვეულო ხერხს. „არსებობენ უზარმაზარი რაოდენობის ორგანიზაციები, რომლებიც იშვიათი სახეობების ფლორისა და ფაუნის დასაცავად საქმიანობენ. სიტყვებიც ხომ გადარჩენას საჭიროებენ. ამიტომ მათ არანაკლებ სჭირდებათ დაცვა, — წერს მწერალი. — ისინი ჯერ ხმარებიდან ქრებიან, შემდეგ კი განმარტებითი ლექსიკონებიდანაც, თუმცა მოძველებულ ცნობებს როდი გამოხატავენ". ავტორმა შეარჩია 100 სიტყვა, რომელთაც დავიწყება ემუქრებათ, დაწვრილებით გვიხსნის მათ მნიშვნელობებსა და ხმარების წესს, მათ საილუსტრაციოდ მოჰყავს ლიტერატურული მაგალითები, რათა მკითხველებმა შეძლონ „ახალი სული შთაბერონ ძველ ლექსიკას", ჩართონ ისინი სალაპარაკო ბრუნვაში.**

პივოს ინიციატივას მხარი დაუჭირეს ერთთვიურმა „ლირამ", აგრეთვე მთელმა რიგმა მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა. მაგალითად, განათლების მინისტრმა გადაწყვიტა პოპულარიზაცია გაუწიოს" სიტყვა „წულას", რომელიც, მისი დაკვირვების შედეგად, ახლანდელი ბავშვებისათვის თითქმის ეგზოტიკა გახდა.

პივოს შეშფოთებას მთლიანად იზიარებს აგრეთვე საფრანგეთის აკადემია, რომელიც აპირებს კიდეც ენის გადარჩენა „XXI საუკუნის მთავარ ნაციონალურ იდეად" გამოაცხადოს.

ИНОСТРАННАЯ ЛИТЕРАТУРА

◎ პიროვნება

# როცა კაცურად იცხოვრებ... გამხსენებელიც გამოჩნდება

**ᲗᲘᲗᲥᲛᲝᲡ გამოცდილება არ მაკლდა, მეტალურგებთან სრულიად ყმაწვილი კი მივედი, მაგრამ მანამ პროფტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე... ობოლი კაცის საბედუთო ხომ იცი, მამა ომში დაიღუპა... მეტალურგთა ოჯახი რომ შეგიფარებს, დაგაკაცებს, დაგმოძღვრავს... მერე სად არ ვიმუშავე ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მაგრამ ცხოვრებაში ჩემი შრომა, საქმის კეთება სულ სხვა იყო. მერედა, რა შემართებით, საქმის კეთება სულ სხვა იყო, ცეცხლად აგანთებდა.**

**რუსთაველთან წასვლის წინ, გულდაწყვეტილი რომ ტოვებდა ქალაქს, მითხრა, აქ გატარებულმა მცირე დრომ, მეტალურგებთან, ქიმიკოსებთან გატარებულმა დღეებმა დიდი გამოცდილება შემძინეს, ეს ჩემთვის აკადემია იყოო.**

**თვითონ ასე ამბობდა, კი, ნამდვილი ცხოვრების გემო ახლა გავიგეო, ჩემთვისაც მრავალჯერ უთქვამს. მისგან, მის ირგვლივ მყოფნი, რასაც ხელმძღვანელი პირობა ჰქონდა, მისგან ვიზიარებდით...**

ასე დაიწყო ჩვენი საუბარი. მერე ბევრი რამ მოვიგონეთ. მოვიგონეთ ერთთავად მოგრუხუნე, ხმაურიანი, შემართებული, სამაგალითო ადამიანების სავსე ის ძველი რუსთავი, მეტალურგების, ქიმიკოსების, მშენებლების, ოთხ ათეულზე მეტი დიდი თუ მცირე საწარმოს მაცოცხლებელი... ქალაქი ხომ დღითი დღე იზრდებოდა, ძლიერდებოდა, მარტო შრომა როდი იყო, იცოდნენ ლადად ცხოვრება, დროსტარებაც, იქმნებოდა ახალი ოჯახები, ქალაქ-ში შენდებოდა თავისი კულტურის კერები, რუსთავის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებზე თბილისელები თავს იკლავდნენ, ბილეთებზე რიგები იყო, ანსამბლი „რუსთავი“ დიდი შემოქმედის, მისი შემქმნელი ანზორ ერქომაიშვილის თაოსნობით საზღვარგარეთ გასტროლებზე ამერიკაში ქართულ ხელოვნებას აცნობდა...

ჩემი თანამოსაუბრე ქალაქის ერთი იმ ამაგდართაგანია, ვინც აშენებდა, აძლიერებდა, ამაღლებდა და მისთვის მშობლიურ, იგავმიუწვდომელ საუკუნეთა წიაღიდან სასწაულებრივად აღმოცენებულ, მამა-პაპათა საგმირო საქმეებით არაშის ციხის ბურჯიანი მტკიცე, ძირძველ, მაგრამ ახლა მარადიული ახალგაზრდობის საბუდრად ამოზრდილ რუსთავს.

— იმხანად ახლადშენებარ რუსთავი ყველას პირზე ეკერა, გაზეთებში, რადიოში თუ კინოეკრანებიდან მეტალურგთა ქება-დიდება იხმოდა, — სიყვარულით იგონებს იუზა მაჭავარიანი განვლილ დღეებს, — ჰოდა, სკოლა დავამთავრე თუ არა, მეც აქეთ გამოვიწიე გული, ალღომ არ მიმტყუნა, ბედმა, ობლის ყვერის არ იყოს, მეც გამიღიმა. თუმცა, ვერგზილი წარმოვიდგენდი, ასეთი ჟამი თუ დაგვიდგებოდა, ნალოლიავები ქალაქის გაჩანაგება ასე თუ განადგურდებოდა...

მეტალურგიულ ქარხნის სრულიად ახალი მილსაგლინი საამქროს ამუშავებაში მონაწილე ჭაბუკი მალე ჯარში გაიწვიეს, რამდენიმე წლით... საოფიცრო კურსები რომ მოილია, გომელის ტექნიკურ ინსტიტუტში წარმატებით გაიარა მისაღები გამოცდები, მაგრამ ოჯახური პირობების გამო სამშობლოში დაბრუნდა და უმაღლესი განათლებაც აქ გაასრულა.



მისი შრომის წიგნაკი სქელტანიან ტომს უფრო წააგავს, დიდხანს ერთ ადგილას არ აჩერებდნენ. ახალგაზრდა სპეციალისტი ამჯერად ქიმიური ბოჭკოს 4-ათასკაციანი კოლექტივის წევრი ხდება. ეს საწარმო ყოველწლიურად 100 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებდა. იგი ყველაზე ძვირადღირებული და ქვეყნის ბიუჯეტის ამავსებელი წარმოება იყო, და რომ არ დაენგრიათ, დღესაც ააყვავებდა ჩვენს ეკონომიკას, მაგრამ მეჯართეებმა პირველი ეს ქარხანა მოიხელთეს და ნანგრევებად აქციეს. ეს დიდი გულისტკივილია იუზა მაჭავარიანისთვის...

ამ საწარმოში თავიდან ზეინკლად მოეწყო, მერე უფროსი ოსტატი გახდა, ცხელი გაჭიმვის საამქროს ცუდად რომ წაუვიდა საქმე, მას იუზა მაჭავარიანი ჩაუყენეს სათავეში და მართლაც, სულ მალე წარმატებულთა რიგებშიც ჩააყენა.

საშენ მასალათა კომბინატი ფრიად მნიშვნელოვანი საწარმო იყო ქვეყნისთვის, მაგრამ ერთი პერიოდი იქაც მოიშალა წარმოების ორგანიზაცია და ქალაქის ხელმძღვანელობამ მისი მართვის სათავე იუზა მაჭავარიანს ჩააბარა.

ჩამორჩენის დაძლევა კარგად გეხერხებაო, ახლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ წამოიყვანეს და კომუნალური მეურნეობა ჩააბარეს. მერე ქიმიურ კომბინატში ხელმძღვანელ თანამდებობებზეც იმუშავა. ამასობაში ბატონი ჟიული შარტავა მოევლინა ქალაქს, მან კი შესანიშნავად უწყოდა კადრების შერჩევა და ქალაქის მეორე მდივნად წამოიყვანა. ისინი ღამეებს ათენებდნენ, როცა ქალაქს ეძინა, თავკაცები ფხიზლობდნენ და საქალაქო მეურნეობას ისე აგვარებდნენ, მოსახლეობა რომ არ შეწუხებულიყო. იმ წლებში ქალაქის ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა ზენიტს მიაღწია, თითქმის ყველა საწარმო მომგებიანად მუშაობდა და მშენებლობის ბუმიც გაჩაღდა. მაშინ უმოკლეს დროში აშენდა ხრამი-რუსთავის წყალსადენი, უნიკალური საბავშვო რკინიგზა, დაიწყო რუსთავის ახალი თეატრის შენება. დღეს ასევე დიდებული სავაჭრო ცენტრი ექნებოდა ქალაქს. იქ მეტალურგებმა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ელექტროფოლადსადნობი საამქროს კონტურები აღმართეს და მოწყობილობა-დანადგარებიც უნდა შემოსულიყო... ქალაქის ხელმძღვანელები ერთად ათენ-აღამებდნენ, როცა რუსთაველებს ეძინათ, ისინი ფხიზლობდნენ.

შემდეგ წლებში რუსთავის მერის მოადგილედ მუშაობდა. ეს იყო გარდაქმნა-გაურკვევლობის თითქმის გაუგებარი წლები, მაგრამ რუსთავის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რომ არ დაეკარგათ ქალაქის იერსახე, არ დაენგრიათ მრეწველობა, გადაერჩინათ მისი მაჯისცემა. ცხოვრების ტალღამ კიდევ ბევრგან გადააგდო იუზა მაჭავარიანი, ბევრი წინააღმდეგობა, გაუგებრობა ხდებოდა ქვეყნად. მასაც არაერთი წყენა რგებია, მაგრამ არ გატყდა, არ შეეპუა, კაცურ კაცად დარჩა და ამ დღეებში 65 წელი შეუსრულდა, თუმცა სიჭარმაგეშიც ისევ ისე ჭაბუკურად მხნეობს, გულს არ იტეხს და ოცდარვალარიან პენსიას მაინც ფულად მიიჩნევს.

— ქალაქის ახალმა თავკაცმა, ახალმა მერმა დავით ნადაშვილმა რუსთაველებს ახალი იმედები გაუჩინა. მოკლე დროში მართლაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია, — ამბობს ამაგდარი ვეტერანი, — მე მივედი და მადლობაც ვუთხარი, თანადგომას შევპირდი... წყლის პრობლემა აღარ გვაქვს, გზები კეთდება, ქუჩის განათებას მიხედეს... მრეწველობას უჭირს, მაგრამ ეს ქვეყნის ეკონომიკის მამების უთაობის ბრალია და მერმა რა ქნას... მის ძალაუფლებას აღემატება.

— ისე, ეს მამაცხონებულები, ჩვენი ეკონომიკის მამები და ხელისუფლება მერს ქალაქს თუკი ანდობენ, მრეწველობაც ჩააბარონ და ნახავენ, რაღაც ერთ წელიწადში როგორ ააყვავებენ აქაურობას, — ახლა მე შევჩივლე ჩემს რესპონდენტს. ოჯახური ამბები გამოვკითხე. მეუღლე დიდებული ქალბატონია. შვილებითა და შვილიშვილებით დიდბუდობს, სიყვარულითაა სავსე. თვითონ ოჯახის პატრიარქი ცდას არ აკლებს, ყველაფერს აკეთებს, რომ ოჯახი არ დაბეჩავდეს, ქალაქს მოივლის, უსაქმოდ ყოფნა არ შეუძლია. მშობლიურ ქალაქს ეფერება და გული სტკივა, რომ ვერ შველის. თანამოაზრეებთან ერთად, რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიც არის, ხალიბაურთა დარბაზი შექმნა. გარშემო შემოიკრიბეს ამაგდარი, ქალაქისა და ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ადამიანები. კვირაში ერთხელ იკრიბებიან და გულახდილად მსჯელობენ ქალაქის პრობლემებზე, ამ დღეებში მეტალურგთა გასაჭირზე იმსჯელეს. თავიანთ ენერგიას უშურველად ხარჯავენ, რომ ხვალინდელი დღე ბევრად უკეთესი იყოს, შვილებსა და შვილიშვილებს მოახმარონ დარჩენილი წლები.

როცა კაცურად იცხოვრებ, ამაგიც უნდა დაგიფასდეს.

იუზა მაჭავარიანს 65 წლის იუბილე მხოლოდ ახლობლებმა და მეგობრებმა მიულოცეს.

დღეს ვის ახსოვხარ?

**ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**რუსთავი.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: იუზა მაჭავარიანი (მარცხნივ) და ჟიული შარტავა.**

◎ ინფორმაცია

## სამეცნიერო კონფერენცია

**ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ფესტივალის „ჩვენებურების“ ფარგლებში გუშინ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.**

კონფერენციის დაწყებამდე უნივერსიტეტის დარბაზის ფოიეში გამოფენა მოეწყო, სადაც ჩამოსული ქართველი ემიგრანტებისა და უნივერსიტეტის სტუდენტების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

როგორც ფესტივალ „ჩვენებურების“ მონაწილემ მელიჰ ბაშმა (ჯაში) განაცხადა, ის საქართველოში პირველად არის და გამოფენაზე „მისი ოცნების პატარა საქართველოა“ წარმოდგენილი.

„ქართველი ვარ და მიყვარს ცეკვა და სიმღერა. ჩემი ნამუშევრები განსხვავებული ტექნიკით არის შესრულებული. გვიან გავიგე ფესტივალის შესახებ და სულ 30-მდე ნამუშევრის შექმნა მოვასწარი“, — აღნიშნა მელიჰ ბაშმა.

„ჩვენებურების“ მონაწილეებმა საგამოფენო დარბაზში ქართული ფოლკლორული სიმღერები და ცეკვებიც წარმოადგინეს.

6 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალის საზეიმო დახურვა გაიმართება.

## საბაჟოს ფუნქციები გაიზარდა

**ᲡᲐᲑᲐᲟᲝ კონტროლთან ერთად საბაჟო დეპარტამენტი ვეტერინარულ, ფიტოსანიტარიულ და ხარისხის კონტროლს განახორციელებს.**

საქართველოს ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა უკვე გამოსცეს ერთობლივი ბრძანება, რომლითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საბაჟო დეპარტამენტზე უფლებამოსილებათა დელეგირება განახორციელა.

საბაჟო დეპარტამენტს დაევალა საბაჟო კონტროლთან ერთად ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და ხარისხის კონტროლი უზრუნველყოს და შესაბამისი მოსაკრებელიც აკრიფოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურისა და ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საბაჟო დეპარტამენტზე ფუნქციების დელეგირება ოქტომბრის პირველ ნახევარში განახორციელონ.

## სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აღდგა

**ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქუჩის მცხოვრებთა აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა ქუჩაზე ბარიკადები დაშალეს.**



თაბუკაშვილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის ჯგუფი, რომელიც მოსახლეობისა და მძღოლების შეხლა-შემოხლის აღკვეთას ცდილობდა. თუმცა, პოლიციელებს მძღოლებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, როდესაც ისინი მოსახლეობის მიერ ჩახერგილი ქუჩის გახსნას ცდილობდნენ.

მოსახლეობის თქმით, თაბუკაშვილის ქუჩაზე სატრანსპორტო მოძრაობის გააქტიურება ისედაც ავარიულ შენობებს კიდევ უფრო აზარალებს. სამარშრუტო ტაქსების მძღოლები კი მათ ქმედებების სამართლიანობაში დარწმუნებულები არიან. მათი განცხადებით, რუსთაველის გამზირზე ე.წ. „მარშრუტკების“ მოძრაობის აკრძალვის შემდეგ, ალტერნატიული სქემა მერიამ შეიმუშავა და მასში თაბუკაშვილის ქუჩაც ჩართო. თუმცა, მძღოლები იმასაც აცხადებენ, რომ ამ ქუჩით, ნებადართული 6-ის ნაცვლად, სხვა სამარშრუტო ხაზებზე მოძრავი ავტომანქანებიც გადაადგილდებიან.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

## ორი ადამიანი დაიღუპა

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ლილოს დასახლებაში ნავთობმზიდის აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ერთი კი მძიმედ დაშავდა. როგორც ისან-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსმა კახა კაკაჩიამ განაცხადა, უბედური შემთხვევა იუმაშევის ქუჩაზე მოხდა. ნავთობმზიდი საწვავის ავზის ელექტროშედუღების დროს აფეთქდა. ამის მიზეზი უსაფრთხოების ნორმების დარღვევაა. აფეთქების შედეგად დაიღუპა ელექტროშემდუღებელი გივი ბერიზაშვილი და ავტომანქანის მძღოლი ოთარ განგაშვილი. მძღოლთან ერთად მყოფი ალექსანდრე ლოლიაშვილი კი მძიმედ დაშავდა. იგი ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული.**

**მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.**

ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ



◎ რეგიონებშიც ფხიზლობენ

# ისევ ნავთობპროდუქტების, ისევ სიგარეტის კონტრაბანდა...

### ენერგოცოდვილი

**ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ზესტაფონის განყოფილებაში ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს მუშაკებმა მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინეს.**

კერძოდ, განყოფილების უფროსმა გია ონიანმა, იმის წყალობით, რომ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ელექტროქსელში ჩართვა სხვადასხვა თანხა ღირს, რაც ობიექტის სიდიდეზეა დამოკიდებული, 12 ობიექტზე გასცა ასეთი ნებართვები, თანხები კი შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვის ნაცვლად მიითვისა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, მიმდინარეობს გამოძიება.

### „ერთფეროვანი“ „პალიტრა“

**ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ I ოპერატიულ სამმართველოში მიღებული ინფორმაციის რეალიზების შედეგად ზუგდიდის რაიონში, კონფლიქტის ზონასთან მოსაზღვრე სოფელ ახალ აბასთუმანში უკანონო ნავთობსახდელი გამოავლინეს.**

შპს „პალიტრა“, სხვადასხვა სამართალდარღვევის გამო, ფინანსურ პოლიციას ადრეც ჰქონდა დალუქული, თუმცა, როგორც გაირკვა, ნავთობსახდელი მეპატრონეებმა მაინც ულიცენზიოდ აამუშავეს. ჩანს, „პალიტრის“ მეპატრონეებს მხოლოდ უკანონო რეჟიმში მუშაობა მოსწონთ... უკანონო სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიებას ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო აწარმოებს.

### „გასწით, ხარებო...“

**ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლები და სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, წინასწარ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციისას, ორი დღე-ღამის განმავლობაში ელოდნენ ცხინვალის რეგიონიდან უაქციზო სიგარეტის კონტრაბანდულად შემოტანას.**

გამთენიისას, დაახლოებით 10 ათასი კოლოფი უაქციზო უცხოური წარმოების სიგარეტი, შემოვლითი გზებით, ოსური სოფლების მეზობლად მდებარე ხაშურის რაიონის სოფელ ჩოჩანასთან ტყეში... ხარებით გამოიტანეს. სპეცდანიშნულების რაზმი კონტრაბანდისტებს თავზე მაშინ წამოადგა, როცა ტვირთს ურმიდან ავტომანქანაში ტვირთავდნენ.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უაქციზო სიგარეტის შემომტანი, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხას მკვიდრი რამაზ ჩაჩანიძე.

### ნულარ იზამთ ამას...

**ᲐᲡᲔᲕᲔ ცხინვალიდან გორში გადაჰქონდა 4500 ლარის ღირებულების 3000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ვეფხია ჯიხურიძეს, რომელიც, ისევე, როგორც ამავე ოდენობის უაქციზო სიგარეტის გადატანისთვის ამირან ჯულაყიძე, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს.**

ალნიშნულ პირთა გარდა სამართალდამცველებმა შეაწყვეტინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება მალვინა კულაგინას, ელისო გაგლოევას, ირინე დემურიშვილსა და ალბერტ გუგუთაშვილს, რომლებიც ცხინვალიდან მთლიანად 10 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადმოტანას ცდილობდნენ.

### იაფი ადგილობრივი სიგარეტი ძვირად დაუჯდათ

**ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ფაქტები უცხოეთიდან, კერძოდ, რუსეთიდან უკანონოდ შემოტანილ სიგარეტს ეხება. თუმცა, როგორც ირკვევა, კანონდამრღვევები ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმითაც მანიპულირებენ. კერძოდ, ფინანსური პოლიციის პირველი ოპერატიული სამმართველოს, სამეგრელოსა და იმერეთის სამმართველოების თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისში განთავსებული შპს „კოლხიდა 2002“-ში დამზადებული 25 ყუთი უფილტრო სიგარეტით დატვირთული ავტომანქანა, რომელსაც პროდუქცია სამეგრელოში გადაჰქონდა. უკანონოდ ტრანსპორტირებული ტვირთის ნახევარი მარკირებული იყო ყალბი, ხოლო დანარჩენი — ერთხელ უკვე გამოყენებული აქციზური მარკებით.**

შპს „კოლხიდა 2002“-ში ჩატარებული ჩხრეკისას მიაგნეს ასევე სარეალიზაციოდ გამზადებულ ყალბი აქციზური მარკებით მარკირებულ რამდენიმე ყუთ სიგარეტს. ფინანსურმა პოლიციამ საწარმო დალუქა და წინასწარი გამოძიება დაიწყო.

### ჩვენი პრობლემებით სარგებლობენ

**ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ კერძო კომპანიის კუთვნილმა გემმა „კუმ კალემ“ 2002 წელს ქ. სოხუმის ნავსადგურში დაახლოებით 3 ათასი ყუთი სხვადასხვა დასახელების უცხოური წარმოების უაქციზო სიგარეტი შეიტანა. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, ამ უწყების სამეგრელოს სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.**

არსებული ინფორმაციით, „კუმ კალემ“ 2002-03 წლებში საქართველოში კონტრაბანდული პროდუქცია არაერთგზის შემოიტანა და გაიტანა კიდეც. კერძოდ, 2003 წლის 10 აგვისტოსა და 28 სექტემბერს სოხუმის ნავსადგურიდან სტამბოლში, შესაბამისად, 750 და 591 ტონა ჯართი გაიტანა. გარდა ამისა, ამავე გემით 2003 წლის 19 ივლისს ასევე სოხუმის ნავსადგურიდან თურქეთის ნავსადგურ ბართანში 701 კუბური მეტრი ხის მასალა გაიტანეს.

### მართლა ასეთი „გულგრილები“ არიან?

**ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ გამოძიება დაიწყო.**

საქმე ეხება რეგიონალური საბაჟო „დასავლეთის“ ქ. ფოთის საბაჟოს სამ ინსპექტორს — ვლადიმერ გაბელიას, მალხაზ გახოკიასა და მერაბ კალანდარიშვილს. მათ საბაჟოს საწყობში გარკვეული დროით მოათავსეს ტრანზიტული ტვირთი, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი გატანა არ გააკონტროლეს, ასევე არ შეასრულეს მათზე დაკისრებული სხვა მოვალეობები.

**ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.**

◎ მრჩეველი

# საზოგადოებრივი ადვოკატი — ვის ემსახურება იგი?

**ᲓᲦᲔᲡ ადვოკატის დაქირავება ფინანსებთან არის დაკავშირებული, გამოცდილი და პროფესიონალი იურისტების მომსახურება კი გაცილებით ძვირი ღირს, ამიტომ ასეთები ძირითადად შეძლებულ კლიენტებს ემსახურებიან.**

**რა ქნან იმ ადამიანებმა, ვისაც „დაბალფასიანი“ ადვოკატის აყვანაც არ შეუძლია?**

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით უზრუნველყოს საზოგადოების თითოეული გადახდისუუნარო წევრი.

მიუხედავად ამისა, საქართველოში სადღეისოდ მოქმედი იურიდიული დახმარების სისტემა მრავალი ხარვეზით ხასიათდება და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ კანონით აღებული ამ ვალდებულების შესრულებას.

ამიტომ გახდა აუცილებელი საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის შექმნა, რომელიც 2005 წლის 17 თებერვალს იუსტიციის სამინისტროს ბრძანებულების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა. ამ სამსახურის შექმნა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის ნაწილია და უფასო იურიდიული დახმარების ერთ-ერთი მოდელის გამოცდას გულისხმობს. იგი ჯერჯერობით ორ — გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის რაიონებში მუშაობს.

როგორც საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის უფროსმა თამთა ქუჩაკიძემ განგვიმარტა, მათთან ყოველგვარი იურიდიული მომსახურება უფასოა, სადაც მისვლისთანავე მოქალაქე სამართლებრივი დახმარების მიღებამდე ავსებს ანკეტას და აყალიბებს თუ რა სახის მომსახურება ესაჭიროება.

თუ საქმის გარემოებები არ მოითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას, მაშინ ადმინისტრატორი ანკეტას მისი ჩაბარებიდან ორი დღის განმავლობაში განიხილავს და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მორიგე ადვოკატს ნიშნავს.



ხოლო, თუ ბიუროს თხოვნით პროცესის მწარმოებელი ორგანო მიმართავს, ადმინისტრატორი მაშინვე ნიშნავს ადვოკატს და დასაცავმა პირმა მასთან პირველი შეხვედრისთანავე უნდა შეავსოს ანკეტა.

ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი ადვოკატი ორი რაიონის ტერიტორიის ფარგლებში რეგისტრირებულ პირებს მხოლოდ სისხლის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით უწევს იურიდიულ კონსულტაციას.

ამ სამსახურის მოვალეობაში შედის საგამოძიებო ორგანოთა მიერ ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობილი პირების, როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლო პროცესზე დაცვაც.

მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე, თუ: ტერიტორიული ბიუროს ადვოკატი იმავე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენს სხვა ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს, ან ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს, თუ უკვე ჰყავს ადვოკატი.

განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია იგი სამსახურის უფროსთან გაასაჩივროს. ქალბატონი თამთას თქმით, უფასო საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური საქართველოს ყველა რაიონში უნდა გაიხსნას, რომელსაც ეყოლება მაღალკვალიფიციური იურისტები და უქონელ ადამიანებს დაიცავს, ფიქრობს, რომ ამ მასშტაბით მუშაობა იანვრიდან უკვე შესაძლებელი იქნება.

ამ ეტაპზე კი ჯერჯერობით, რადგან ორი რაიონის გარდა სხვა მცხოვრებლებს ვერ ეხმარებიან, სექტემბერში აპირებენ გააფორმონ მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „თავისუფლების ინსტიტუტთან“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლთან“. ეს ორგანიზაციები ხომ დიდი ხანია მოქალაქეებს უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევენ. იმ ადამიანებს კი, ვისი დახმარებაც მათი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის, ხსენებულ ორგანიზაციებში გააგზავნიან.

**ᲚᲔᲚᲐ ᲛᲐᲜᲐᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**


# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს ბილეთის მოლარის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

აუცილებელი პირობებია: უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, კომპიუტერის ცოდნა, სასურველია უცხო ენის ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 25 სექტემბრიდან 2005 წლის 10 ოქტომბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

**ᲒᲝᲠᲨᲘ:** გორიჯვრის ქ. №19 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 7-71-97.**

**ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ:** თამარ მეფის ქ. №3 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-07-58, 56-07-62.**

**ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ:** ჭავჭავაძის ქ. №70 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-02-22.**

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ:** ქუჯის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-01-61.**

**ᲤᲝᲗᲨᲘ:** რეკვავას ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-00-82.**

**ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲨᲘ:** ალმაშენებლის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-16-11.**

**ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ:** მაზმიშვილის ქ. №5 (რკინიგზის სადგურის შენობა), **ტელ: 56-15-56.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ თბილისში შემდეგ ნომრებზე: **56-42-33, 56-58-62, 56-47-17.**

**კონკურსი**

# მუხტი, რომელიც ახალგაზრდებს წაახალისებს

**2 ოქტომბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა პიანისტთა თბილისის მესამე საერთაშორისო კონკურსი. სცენაზე თავი მოიყარეს მონაწილეებმა, ჟიურიმ, საპატიო სტუმრებმა. მას ამშვენებდა მსოფლიოში აღიარებული ავსტრიული ფირმის „სტეინვეის“ ახალთახალი საკონცერტო როიალი. იგი ადამიანურობის საუკეთესო გამოვლინების — ქველმოქმედების შედეგია და მას პირველები სწორედ მესამე კონკურსის მონაწილენი ააჟღერებენ.**



მასპინძლებსაც და სტუმრებსაც კონკურსის გახსნა მიულოცა საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის დირექტორმა, კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც თბილისური კონკურსი ჟენევის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ფედერაციის წევრი გახდა, ამ სტატუსით ახლა პირველად იმართება კონკურსი და ეს კიდევ უფრო ამაღლებს პასუხისმგებლობას. მანვე წარუდგინა აუდიტორიას ჟიურის წევრები — მსოფლიოს ათი ქვეყნის წარმომადგენლები: დიმიტრი ალექსეევი (რუსეთი — დიდი ბრიტანეთი), აგუსტინ ანიევასი (აშშ), მარსელ ბოდე (ნიდერლანდები), მიშელ დალბერტო (საფრანგეთი), ნანა დიმიტრიადი და რევაზ თავაძე (საქართველო), ოლეგ მაიზენბერგი (ავსტრია), მარია ტიპო (იტალია), უორენ ტომსონი (ავსტრალია), ნოელ ფლორესი (ავსტრია), ვილი სარქისიანი (სომხეთი).

ჟიურის სახელით საზოგადოებრიობას მიმართა ავსტრალიელმა პიანისტმა და პედაგოგმა **უორენ ტომსონმა:** „თბილისურმა კონკურსმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მუსიკოსებს შორის, ამის დასტურია ის უამრავი განაცხადი, რომელიც კონკურსმა მიიღო. ჟიურის ყველა წევრის სახელით მივულოცავ ქალბატონ მანანას კონკურსის დაწყებას და მადლობას ვეტყვი მას ასეთი თავდადებისათვის, ძალისხმევისათვის, ასეთი ხედვებისათვის. კარგად მახსოვს 1977 წელს მისი მონაწილეობა სიდნეის საერთაშორისო კონკურსში, როცა იგი პრიზიორი გახდა. მან ავსტრალიელთა გულები დაიპყრო და იგი დღესაც კარგად ახსოვთ. მინდა მადლობა გადავუხადო სპონსორებსაც და ვუთხრა, რომ მათ ფული ჭეშმარიტად კარგად განათავსეს“.

საქართველოს, ქართველი ხალხისა და მისი ხელოვნების სიყვარულის გამოხატულება იყო ნიუპორტის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის გენერალური დირექტორის მარკ მალკოვიჩ III გამოსვლა.

კონკურსის გახსნის ოფიციალური ნაწილის შემდეგ ასპარეზი მუსიკას დაეთმო. მსმენელთა წინაშე წარსდგა კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი ნიდერლანდელი დირიჟორის ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით. ჰობოისტმა ბარტ შნეემანმა და ორკესტრმა ერთობლივად მიმზიდველად ააჟღერეს გია ყანჩელის „ბავშვობაში დაბრუნება“. ჭეშმარიტად მაღალ დონეზე შესრულდა ბეთჰოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №5 (მი ბემოლ მაჟორი), სოლისტის მიშელ დალბერტოს ხელოვნება ფრანგული პიანიზმის საუკეთესო თვისებების დემონსტრაცია იყო. უდავოდ იგრძნობოდა მაღალი რანგის მუსიკოსის ლევ მარკიზის ღვაწლი და ის დიდი გარჯა, რომელსაც ეწევა იგი სტუდენტურ ორკესტრთან. ამ საღამოს ბეთჰოვენის კონცერტის სრულყოფილად აჟღერებამ მსმენელი ნამდვილად აზიარა კომპოზიტორის მუსიკის ბრწყინვალებას.

ეს საღამო, ალბათ, ძლიერ მუხტად იქცევა კონკურსის მონაწილე ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც გუშინ უკვე დაიწყეს პაექრობა. პირველი ეტაპი ხვალ დასრულდება. ვნახოთ, ვინ მოიპოვებს შემდეგი ტურის საგზურებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ზეიმი ახალგორში**

# „ერისთავობა“

**ახალგორის ცენტრში დგას სამი სულმნათის, სამშობლოსათვის მოწამეობრივად აღსრულებული სამი გმირის, „ერის თანმდევი უკვდავი სულების“ — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ბრინჯაოში ჩამოსხმული ქანდაკებები.**

ახალგორში მიმსვლელთ, უწინარესად, ეს სამი გმირი ეგებება, ესალმება და თითოეულს თითქოს შეახსენებს კიდეც, თუ რანი ვართ და რისთვის მოვსულვართ ამ ქვეყნად.

წლეულს 1 ოქტომბერს, მეოთხედ იზეიმეს ახალგორელებმა „ერისთავობა“. დიდ-პატარა ქუჩაში გამოფენილიყო. ძველებურად ერთად იყვნენ ქართველები და ოსები, ყველა ერთმანეთს ულოცავდა, იშვიათი იყო ოჯახი, სტუმარი რომ არ ჰყოლოდა.

დღის 12 საათისთვის სტუმარ-მასპინძელი სამი გმირის ძეგლთან შეიკრიბა. ძვირფასი სტუმრები ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ისაიამ დალოცა.

ქსნის ხეობა იყო ერთ-ერთი უძლიერესი საერისთავო. აქ დღეისათვის რეგისტრირებულია 370 ქართული ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი. ახალგორი ქსნის საერისთაოს ცენტრი იყო XVII საუკუნიდან. ახალგორის რაიონს, კერძოდ, ქსნის ხეობას ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარების საქმეში. აქ ხალხი არასოდეს გატეხილა, ხალხი, რომელიც ერთიანი საქართველოს ჭირსა თუ ლხინს ყოველთვის გმირულად იზიარებდა.

იმდღევანდელი ზეიმის გმირების შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მტრის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართველებმა 350-წელიწადზე მეტი ხნის წინათ აოხრებისგან იხსნეს ქვეყანა, რისთვისაც ისინი შაჰმა სიკვდილით დასაჯა. სამშობლოსთვის თავდადებისა და სარწმუნოების ურყევი ერთგულებისათვის ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.



ზეიმი — ზეიმად და ახალგორის გამგებელს ზურაბ ფირცხელაურს რაიონის ზოგად მდგომარეობაზე შევეკითხეთ. მისი თქმით, რაიონის ეკონომიკური მაჩვენებელი 2-3 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით 300 პროცენტით არის გაზრდილი. ადგილობრივმა ბიუჯეტმა 70 ათასიდან 600-700 ათას ლარამდე მოიმატა (10-ჯერ გაიზარდა). ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებიც დაახლოებით ანალოგიურია. ერთადერთ მთავარ პრობლემად მოსახლეობის მიგრაცია რჩება. იგი დიდ დაღს ასვამს რაიონს. ადგილზე მოსახლეობის დასამაგრებლად საჭიროა გრძელვადიანი კრედიტები, ან სხვა სახის დახმარებები, რომ მოსახლეობა ადგილზე დამაგრდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიგრაციას ვერ შევაჩერებთ. ძირითადად მეცხოველეობა უნდა აღორძინდეს. აკი აკლდა იმ დღევანდელ ზეიმს ფაფახიანი მეცხვარე.

ამასობაში კი ახალგორის №1 საშუალო სკოლის მოსწავლეების მიერ გამართული მშვენიერი კონცერტი შნოსა და ლაზათს მატებდა სახალხო ზეიმს.

**ბელა დურგლიშვილი**



# განცხადება კომერციული კონკურსის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიურო აცხადებს კომერციულ კონკურსს კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენაზე. კერძოდ:**

Motherboard – AsusP4S800
Case – ATX Case (Real Power 450W)
CPU – Box P4-3.0/1M/800
RAM – DDR 512 MB
Floppy – Sony
HDD – Seagate barracuda 80 GB 7200 rpm
Video – Geforce FX-5200 128 MB
Monitor – Samsung LCD 720 N 17”
Keyboard – Genius KB-21 E
Mouse – Optical
Speakers – Genius Q-10
Modem – 56 k
CD-R/CD-RW – LG 52x/32x/52x
Printer – HP LJ 1020
UPS – Power Com 500 VA
Scanner – Genius color page 1200 XE
Copier – Canon FC128

2 კომპლექტი
„ნოუთბუქი“ - Maxtop Inteligance B3
Monitor – 15”
CPU – Mobile Pentium m1,8 GHZ/400 FSB
RAM – DDR 512 mp
HDD – Mobile 40 GB/5400 rpm
Optical Drivers – DVD – CDRW
Video – Radeon 9700/64 MB
Keyboard – English
Soundcard – Own
Speakers – Own
TV-Tuner – PCMCI TV-Tuner Aver media
Printer – HPLJ 1020
BAG
MOUSE

1 კომპლექტი

მომწოდებელი ორგანიზაცია შეირჩევა შემოთავაზებული ყველაზე დაბალი ფასისა და პროდუქტის ტექნიკური მაჩვენებლების შესაბამისობის მიხედვით.

საკონკურსო სხდომა ჩატარდება 2005 წლის 16 ოქტომბერს 12 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16, მე-11 სართული, ოთახი № 1117.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16, მე-11 სართული, ოთახი № 1103.


**ფეხბურთი**

# შინ და გარეთ

**გადახედავ კაცი ფეხბურთელთა XVII ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს და შეიძლება სიხარულით გული შეგიქანდეს — თუ საქმეში ჩაუხედავი ხარ, ალბათ, იფიქრებ — ეშველა ქართულ ფეხბურთსო. ნეტავი მართლაც ასე იყოს და საქმის გამოსწორებას ისეთი კლუბების დაწინაურება შველოდეს, აქამდე რომ არაფრით გამოირჩეოდნენ. თუმცა, გულშემატკივარმა და მასმედიამ ხომ კარგად იცის, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის მიუხედავად, პროგრესზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია და ჩვენი ეროვნული ნაკრების გადამკიდე, ვერავინ გამოთქვამს ოპტიმისტურ პროგნოზს.**



**გაუწყებთ VIII ტურის შედეგებს:** „ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:2, „ბორჯომი“ — „ცხინვალი“ 4:0, „სპარტაკი“ — „დინამო“ 0:3, „სიონი“ — „ზესტაფონი“ 1:0, „დილა“ — „სოხუმი“ 5:0, „ტორპედო“ — „თბილისი“ 1:0, „ბათუმი“ — „კოლხეთი“ 2:0, „ლოკომოტივი“ — „კახეთი“ 3:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „სიონი“ — 22, „ბორჯომი“ — 21, „ლოკომოტივი“ — 20, „ვიტ ჯორჯია“ — 16, „დინამო“, „ბათუმი“, „ამერი“ — 13-13, „დილა“, „კოლხეთი“, „ზესტაფონი“ — 12-12, „კახეთი“ — 9, „ტორპედო“ — 7, „ცხინვალი“ — 6, „სოხუმი“, „სპარტაკი“ — 4-4, „თბილისი“ — 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „სოხუმი“ — „ბათუმი“ (14 ოქტომბერს), „კოლხეთი“ — „ამერი“, „კახეთი“ — „დილა“, „თბილისი“ — „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“ — „ტორპედო“, „ცხინვალი“ — „სპარტაკი“ (15 ოქტომბერს), „დინამო“ — „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ბორჯომი“ (16 ოქტომბერს).

* * *

**იტალია. VI ტური.** „კიევო“ — „ტრევიზო“ 0:0, „უდინეზე“ — „ლაციო“ 3:0, „მილანი“ — „რეჯინა“ 2:1, „ფიორენტინა“ — „ლივორნო“ 3:2, „რომა“ — „სიენა“ 2:3, „პალერმო“ — „ემპოლი“ 2:2, „მესინა“ — „სამპდორია“ 1:4, „ასკოლი“ — „პარმა“ 3:1, „ლეჩე“ — „კალიარი“ 3:0, „იუვენტუსი“ — „ინტერი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 18, „ფიორენტინა“, „მილანი“ — 13-13 ქულა.

**ბომბარდირები:** ბონაცოლი („სამპდორია“), ტონი („ფიორენტინა“) — 6-6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „იუვენტუსი“ — „მესინა“, „სიენა“ — „უდინეზე“, „კალიარი“ — „მილანი“, „ემპოლი“ — „რომა“, „პალერმო“ — „კიევო“, „ლაციო“ — „ფიორენტინა“, „რეჯინა“ — „ლეჩე“, „ინტერი“ — „ლივორნო“, „ასკოლი“ — „სამპდორია“, „პარმა“ — „ტრევიზო“.

**ესპანეთი. VI ტური.** „ბარსელონა“ — „სარაგოსა“ 2:2, „ხეტაფე“ — „ვალენსია“ 2:1, „რასინგი“ — „ალავესი“ 1:2, „სოსიედადი“ — „ბეტისი“ 1:1, „დეპორტივო“ — „ოსასუნა“ 0:1, „კადისი“ — „სელტა“ 1:1, „ვილიარეალი“ — „ბილბაო“ 3:1, „სევილია“ — „ესპანიოლი“ 1:1, „რეალი“ — „მალიორკა“ 4:0, „მალაგა“ — „ატლეტიკო“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ხეტაფე“ — 14, „სელტა“ — 13, „რეალი“, „ოსასუნა“ — 12-12 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) — 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ — „სევილია“, „ატლეტიკო“ — „რეალი“, „ბეტისი“ — „ხეტაფე“, „დეპორტივო“ — „ბარსელონა“, „ესპანიოლი“ — „კადისი“, „ვალენსია“ — „მალაგა“, „სარაგოსა“ — „სოსიედადი“, „ალავესი“ — „ვილიარეალი“, „მალიორკა“ — „რასინგი“, „ოსასუნა“ — „სელტა“.

**ინგლისი. VIII ტური.** „ფულჰემი“ — „მანჩესტერი“ 2:3, „ბლექბერნი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 2:0, „ჩარლტონი“ — „ტოტენჰემი“ 2:3, „პორტსმუთი“ — „ნიუ-კასლი“ 0:0, „სანდერლენდი“ — „ვესტ ჰემი“ 1:1, „სიტი“ — „ევერტონი“ 0:0, „უიგანი“ — „ბოლტონი“ 2:1, „არსენალი“ — „ბირმინგემი“ 1:0, „ასტონ ვილა“ — „მიდლსბრო“ 2:3, „ლივერპული“ — „ჩელსი“ 1:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ — 24, „ჩარლტონი“, „ტოტენჰემი“ — 15-15 ქულა.

**ბომბარდირები:** ბენტი („ჩარლტონი“), ვან ნისტელროოი („მანჩესტერი“) — 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „უიგანი“ — „ნიუკასლი“, „ჩელსი“ — „ბოლტონი“, „ლივერპული“ — „ბლექბერნი“, „ჩარლტონი“ — „ფულჰემი“, „სანდერლენდი“ — „მანჩესტერი“, „ვესტ ბრომვიჩი“, — „არსენალი“, „ტოტენჰემი“ — „ევერტონი“, „მიდლსბრო“ — „პორტსმუთი“, „ბირმინგემი“ — „ასტონ ვილა“, „სიტი“ — „ვესტ ჰემი“.

**გერმანია. VIII ტური.** „აინტრახტი“ — „შალკე“ 0:1, „ჰანოვერი“ — „დუისბურგი“ 1:1, „ბაიერნი“ — „ვოლფსბურგი“ 2:0, „ნიურნბერგი“ — „კიოლნი“ 2:1, „ჰერტა“ — „ვერდერი“ 1:2, „გლადბახი“ — „მაინცი“ 1:0, „ლევერკუზენი“ — „ბილეფელდი“ 1:1, „კაიზერი“ — „ჰამბურგი“ 0:3, „ბორუსია“ — „შტუტგარტი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 21, „ჰამბურგი“ — 20, „ვერდერი“ — 19 ქულა.

**ბომბარდირები:** ალტინტოპი („კაიზერი“), კლოზე („ვერდერი“) — 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „შალკე“ — „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ — „ვოლფსბურგი“, „კაიზერი“ — „ბორუსია“, „ვერდერი“ — „ნიურნბერგი“, „შტუტგარტი“ — „გლადბახი“, „მაინცი“ — „ლევერკუზენი“, „ბილეფელდი“ — „ჰერტა“, „კიოლნი“ — „ჰანოვერი“, „დუისბურგი“ — „აინტრახტი“.

**საფრანგეთი. X ტური.** „პსჟ“ — „ნანტი“ 2:0, „მეცი“ — „ბორდო“ 0:1, „სენტ ეტიენი“ — „ლემანი“ 3:0, „სოშო“ — „ნანსი“ 0:2, „ლილი“ — „მონაკო“ 0:1, „რენი“ — „ლიონი“ 1:3, „ტრუა“ — „სტრასბური“ 1:1, „ტულუზა“ — „ოსერი“ 2:0, „ნიცა“ — „მარსელი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 24, „პსჟ“ — 20, „ბორდო“ — 19 ქულა.

**ბომბარდირი:** პაულეტა („პსჟ“) — 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ოსერი“ — „ტრუა“, „მონაკო“ — „მეცი“, „ბორდო“ — „სოშო“, „ლემანი“ — „ლილი“, „ლანსი“ — „ნიცა“, „სტრასბური“ — „რენი“, „ნანტი“ — „სენტ ეტიენი“, „ნანსი“ — „ტულუზა“, „ლიონი“ — „აიაჩო“, „მარსელი“ — „პსჟ“.

**ჰოლანდია. VII ტური.** „ალკმაარი“ — „ნაიმეგენი“ 3:2 (გადამწყვეტი გოლი სტუმრებს **შოთა არველაძემ** გაუტანა), „უტრეხტი“ — „ფეიენოორდი“ 3:1, „ჰერენვენი“ — „ეინდჰოვენი“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ალკმაარი“, „ფეიენოორდი“ — 18-18, „ეინდჰოვენი“ — 16 ქულა.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო**

**კარატე**

# გზა დაელოცოთ!



**დღეს საქართველოს კარატისტთა მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ გეზი ევროპისკენ აიღო — მსოფლიოს მოზრდილთა და ახალგაზრდულ ჩემპიონატებს წლეულს გერმანია და თურქეთი მასპინძლობს და ჩვენი სპორტსმენები, ტრადიციისამებრ, მომავალ ბატალიათა ფავორიტებად მიიჩნევიან.**

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ „ჯვაროსანთა“ გაცილების საზეიმო ცერემონიალი მოეწყო. იქვე საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** თანადგომისთვის მადლობა ჟურნალისტებსაც გადაუხადა და ისინი სამახსოვრო პრიზებით დაასაჩუქრა.

**საკუთარი ინფორმაცია.**

**სურათზე:** კახა ბასილიამ მასმედიაც დააფასა.

**ხელბურთი**

# პირველი წრე მუშტი-კრივით დამთავრდა

**საქართველოს ხელბურთელთა XVI ეროვნულმა ჩემპიონატმა სტარტი არმიის სპორტული კლუბის დარბაზში აიღო. ამჯერად შეჯიბრებაში თბილისის ოთხი კლუბი — „სტუ — შევარდენი“, „მამული“, „ქარიშხალა“, „თბილისი“ და თელავის „კახეთი“ ჩაება. პირველი წრის მატჩები რამდენიმე დღეს გაგრძელდა. საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა“ ოთხივე შეხვედრა მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს.**

პირველი წრის ბოლო ტურის მატჩი „მამულსა“ და „ქარიშხალას“ შორის 25:22 სტუდენტებმა მოიგეს, რომელთა შორის საკმაოდ გამოირჩეოდა ჩვენი კოლეგა, გაზეთ „სპორტის“ ჟურნალისტი ზვიად შათირიშვილი.

„სტუ-შევარდენისა“ და შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორის — „თბილისის“ შეხვედრის პირველი ნახევარი ჩემპიონმა 13:11 მოიგო.

შესვენების შემდეგ თბილისელთა მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ შეხვედრის არბიტრს — ზურაბ ქოქოსაძეს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი მათი ურთიერთობა მუშტი-კრივში გადაიზარდა. მატჩი 5 წუთით შეწყდა. აღელვებულმა მწვრთნელმა დარბაზი დატოვა. საბოლოოდ „სტუ-შევარდენმა“ გაიმარჯვა — 26:23.

ჩემპიონატი ოქტომბერში გაგრძელდება.

**შალვა ქორიძე**

**ასეც ხდება**

# ჩადრიანი ფეხბურთი?

**ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ახლა მთელი მუსლიმანური სამყაროს ქალთა ყურადღება ირანში ქალთა მეოთხე ისლამური თამაშებისადმია მიპყრობილი. იქ შეიკრიბნენ 47 (!) ქვეყნის ნაკრები გუნდები. თამაშებში მონაწილეობა შეუძლიათ ყველა რელიგიის წარმომადგენლებს. თუმცა ისინი მკაცრად არიან გაფრთხილებულნი ტანსაცმელთან დაკავშირებით. არავითარი „იუბკები“ და შორტები. მხოლოდ გატანილი გოლებით გამოწვეული ექსტაზით ჩამოგლეჯილმა ჩადრმა შეიძლება გამოაჩინოს სპორტსმენი ქალის სახე. თუმცა ამ დროს სტადიონზე მსაჯებიც, ჟურნალისტებიც და მაყურებლებიც ხომ მხოლოდ ქალები იქნებიან. მამაკაცებს იქ არ შეუშვებენ.**



**სპორტულ ორბიტაზე**



## ლიდერობს ტოპალოვი

**არგენტინის პატარა ქალაქ სანლუისში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან მსოფლიო ჩემპიონატის რანგის საჭადრაკო ტურნირზე 3,5 ქულით ლიდერობა ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა იგდო ხელთ. მან ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა — მე-3 ტურში რუსეთელი ალექსანდრ მოროზევიჩი დაამარცხა, ხოლო მეოთხეში — ინგლისელი მაიკლ ადამსი.**

3 ქულა აქვს რუსეთელ პეტრე სვიდლერს, 2,5 — ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ინდოელ დიდოსტატ ვიში ანანდს, რომელიც მეოთხე ტურში ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონთან რუსტამ კასიმჯანოვთან დამარცხდა. უზბეკმა მოჭადრაკემ თითქოს „შური იძია“ წინა ტურში ტურნირის ერთადერთ ქალ მონაწილესთან — უნგრელ იუდით პოლგართან დამარცხებისთვის. თავად რუსტამს 2 ქულა აქვს. უნგრელ თანამემამულეებს — პეტერ ლეკოსა და პოლგარს — 1,5, ჯერჯერობით თითო ქულით „კმაყოფილდებიან“ ადამსი და მოროზევიჩი.

როგორც ცნობილი გახდა, ჩემპიონატის მონაწილენი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესებით დაპინგ-კონტროლს გაივლიან.

## ფედერერმა პირველი ადგილი გაინაღდა

**გაიმარჯვა რა ბანგკოკის დიდ საჩოგბურთო ტურნირში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანოსანმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა სეზონში მეთერთმეტე ტიტული მოიპოვა და ამით გაინაღდა პირველი ადგილი წლიურ მსოფლიო რეიტინგში. უიმბლდონისა და აშშ ღია ჩემპიონატის გამარჯვებულს ახლა 1245 ქულა აქვს და 392 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს რაფაელ ნადალს.**



2005 წლის სეზონში ფედერერის გამარჯვებათა და დამარცხებათა შეფარდება ასეთია — 77:3. უკანასკნელად ჩოგბურთელი „როლან გაროსის“ ტურნირზე სწორედ ნადალთან დამარცხდა.

## თავდასხმა „ტორპედოზე“

**მოსკოვში, მშვიდობის პროსპექტზე ღამით თავს დაესხნენ ავტობუსს, რომლითაც იაროსლავში „შინიკთან“ მატჩის შემდეგ „ტორპედოს“ გულშემატკივრები და კლუბის თანამშრომლები ბრუნდებოდნენ.**

40-50 კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა, „ლოკოს“ ძახილით („ლოკომოტივის“ ამასწინანდელ დამარცხებას თუ გულისხმობდნენ), სერიოზული ტრავმები მიაყენა ავტობუსის მგზავრებს, თანაც მოიტაცეს ძვირფასი ფოტოაპარატურა და 70-მეტრიანი ტრანსპარანტი.

ცხელ კვალზე მილიციის მუშაკებმა დააკავეს რამდენიმე პირი, ახლა წყდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრის საკითხი.

## მატჩები გაუქმებულია

**როგორც უკვე ვიუწყებოდით („სრ“ 29.09) ბრაზილიაში დიდი სკანდალი აგორდა ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატზე არბიტრის ედილსონ პერეირა დი კარვადიოს მაქინაციების გამო. ტოტალიზატორთან მისი გარიგებისა და ქრთამის აღების გამო უმაღლესმა სპორტულმა ტრიბუნალმა გააუქმა მისი ნამსაჯი 11-ვე მატჩის შედეგები.**



ტრიბუნალის თავკაცის ლუის ცვეიტერის განცხადებით, განმეორებით მატჩებში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმავე ფეხბურთელებმა, გაუქმებულ შეხვედრებში რომ მონაწილეობდნენ. გაუქმდა აგრეთვე იმ მატჩებში ფეხბურთელთათვის ნაჩვენები წითელი და ყვითელი ბარათები. განმეორებით მატჩებზე შესვლა უფასო იქნება.

კორუფციაში მონაწილეობა აღიარა კიდევ ერთმა მსაჯმა — პაულუ ჟოზე დანელონმა. მისი თქმით, მან სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის მატჩებზე მანიპულირებისთვის 13,5 ათასი დოლარი მიიღო.

## ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



ქ. წალენჯიხის კულტურის სახლი, 1952 წ. (მარცხნიდან): რაიკომის მდივანი შოთა ხარებავა, შემდგომ წლებში ქ. ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბიქტორ კვარაცხელია, მედიცინის მუშაკი ვერა ჯოლოხავა, რაიონის სამხედრო კომისარი გიორგი კვარაცხელია, ეთერ ხარებავა.

სურათი მოგვაწოდა ზაურ გვასალიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## გვემრავლოს!

# არ მოიშლება მამა-პაპის ტრადიცია

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.



მამაჩემის დაბადების დღეს იმ შემოდგომის ყურძნის მოსავლიდან პაპას ქვევრში ღვინო ჩაუსხამს. შემდეგ ტრადიცია მამაჩემმაც გააგრძელა. მაშინ, როცა თანაკლასელები — მე და ლამარა სკოლის დამთავრებისთანავე დავქორწინდით, მამაჩემმა ჩემს სახელზე ჩასხმული ღვინით სავსე ქვევრს თავი მოხადა...

პირველი შვილი, ისიც ბიჭი, ერთი წლის შემდეგ შეგვეძინა, დავარქვით მამაჩემის სახელი — ვახტანგი. თუ მეორე ბიჭი გაჩნდა, ლამარას მამის სახელს — ლევანს დავარქმევთ, ასეთია ჩემი ოჯახის ტრადიცია. არ მოვშლი ამ ტრადიციას, იმედი მაქვს, ჩემს სიხარულს გაიზიარებენ.

**თემურ ნემსიწვერაძე,**
**ზესტაფონი.**

## ცოტაც გავიცინოთ...

— **მაპატიეთ**, თქვენ ჩემთვის ხურდა არ დაგიბრუნებიათ, — ეუბნება კლიენტი მაღაზიის გამყიდველს.

— მიპატიებია!

* * *

— **კარგად** შევეწყვე ახალ კოლექტივს. განსაკუთრებით მომეწონა მათი ტრადიცია: შეფის ნებისმიერი შენიშვნა სადღეგრძელოდ აღიქმება.

* * *

**მედიცინა** ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ საგრძნობლად ჩამოიტოვა ჩვენი ჯანმრთელობა.

* * *

**ინტელიგენტი** ადამიანები ვინმეს ჭუჭრუტანიდან არ უთვალთვალებენ, ისინი საამისოდ ფარულ კამერებს იყენებენ.

* * *

— **მამი**, როგორ უნდა გაარჩიო მთვრალი ფხიზელისგან?

— როგორ, შვილო, და ხომ ხედავ ეგერ ორი კაცი რომ დგას? მთვრალს ისინი ოთხად მოეჩვენებოდა.

— მაგრამ იქ რომ მხოლოდ ერთი კაცი დგას?

* * *



**სცენაზე** მსახიობები „რიგოლეტოს“ თამაშობენ. მიმდინარეობს სცენა, რომელშიც გამწარებული მასხარა, თავისი ქალიშვილის შერცხვენა რომ გაიგო, თმებს იგლეჯს.

— კი მაგრამ, რად იკლავს ეს კაცი თავს ასეთი უბრალო რამისთვის? — ეკითხება ერთი მაყურებელი მანდილოსანი მეორეს.

— იცით რა, — უხსნის მას შედარებით განათლებული ქალბატონი, — მაშინ ასეთი რამეები თურმე ცოდვად ითვლებოდა...

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;

გენერალური პროკურატურა — 99-74-10;

შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;

საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;

ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;

იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;

ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;

შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;

კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;

საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;

შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;

ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.

კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## ლარის კურსი

**4 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1484 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7950 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1420 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0627 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3908 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4048 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5541 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 4 ოქტომბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 25⁰ | 13⁰ |
| ბათუმი | 27⁰ | 15⁰ |
| სოხუმი | 25⁰ | 13⁰ |
| ქუთაისი | 26⁰ | 14⁰ |
| თელავი | 26⁰ | 14⁰ |

## თითქმის ნატურიდან

# ზოგჯერ ქუდიც...

**გუბაზმა**, ჯუბომ და მე წელსაც ზღვაზე დავისვენეთ. გუბაზს, ისე როგორც სხვა ყველაფერი, დასვენებაც მუქთა უყვარს. შარშან, შარშანწინ და იმის წინათაც ჯუბოს ხარზჯე იყო. ეს უკანასკნელი იმედოვნებდა, რომ გუბაზი წელს მაინც ინამუსებდა, მაგრამ მოტყუვდა, ქობულეთში ჩასვლისთანავე გუბაზმა განაცხადა:

— დავილუპე, ფულის წამოღება დამავიწყდა.

— შე დალოცვილო, რაღა მაინცა და მაინც ფულის წამოღება დაგავიწყდა? — ვუსაყვედურე.

— რა აზრი აქვს ფულის თრევას, — თქვა მშვიდად გუბაზმა, — ხომ ნახე, შარშანაც ვერაფერი დავხარჯე, უკან დაბრუნებისას იმაზე მეტი თანხა აღმომაჩნდა, ვიდრე შინიდან წამოვიღე.

— მით უკეთესი, წელს შეიძლება შენ ფულს უფრო მეტი ებარტყა.

— ჰო, მაგრამ შემეშინდა.

— ვისი, კაცო?

— ბექაურის. ხომ შეიძლება, ფულის თვლის მომენტი ფარული კამერით გადაეღო და გამოძალვა დაებრალებინა.

— სწორი ხარ, — დავეთანხმე, — ეგ რომ გამხსენებოდა, ფულს არც მე ჩავიდებდი ჯიბეში.

— როგორ, კაცო, შენც ჩემ ხარჯზე უნდა ყოფილიყავი? — აპილპილდა ჯუბო.

გუბაზმა მომენტით ისარგებლა და ჩანთიდან ტანსაცმლის ამოლაგება დაიწყო. ჯუბომ მზერა მოზრდილ პარკზე შეაჩერა.

— რა გაქვს მაგ პარკში? — დაინტერესდა.

— არაფერი, წამლებია.

— ძმაო, შენ აქ დასასვენებლად წამოხვედი თუ წამლების სასმელად?

— ეს უფრო წამლები კი არა, საჭმლის მოსანელებელი აბებია, — თავი იმართლა გუბაზმა, — აი ეს, მაგალითად, მწვადის აბებია, ეს — ხაშლამის, ეს ჩახოხბილის...

— ახლა მწვადი და ხაშლამა არ მომინდომა? — გული მოუვიდა ჯუბოს, — აქ ხაშლამა საერთოდ არ იციან, რა ჯანდაბად მოათრევდი?

— ხალშამა თუ არა, ხაში მაინც ექნებათ, — იხტიბარი არ გაიტეხა გუბაზმა, — ხაშლამა და ხაში ხომ ერთმანეთის ბიძაშვილები არიან.

— მერე, ეგ აბები აქ არ იშოვება?

— რა ვიცი, მომერიდა... საჭმელზე იხარჯები, იხარჯები და იმის მოსანელებელ აბებსაც შენ ხომ არ გაყიდინებდი!

— ძვირი დაგიჯდა?

— არაფერი, მეგობრებმა საჩუქრად გამომატანეს.

ეს ყველაფერი მანამდე მოხდა, ვიდრე ზღვაზე გავიდოდით, თუმცა გუბაზს პრობლემები ზღვაზეც გაუჩნდა.

— ნახე, ნახე, ეს ვიღაც სულელი პირდაპირ ჩვენკენ მოფრინავს, შეშფოთდა გუბაზი, — ხომ შეიძლება პარაშუტი დაუზიანდეს და ეგ მუტრუკი თავზე დამეცეს?

— მიდი, ზღვაში შევარდი და ჩაყვინთე, — ვურჩიე მეგობარს.

— იქ კიდევ, ხომ ხედავ, კატერები რა გნიასით დარბიან, ხომ შეიძლება იმ დროს ამოყვინთო, როცა თავს წამოგადგება.

— შენც ნუ ამოყვინთავ...

... აბა ცხელ-ცხელი, მდუღარე სიმინდი! — გაისმა ყურისძირში.

— ქალო, დილას აქეთ რით ველარ გაცივდა? — დაეჭვდა გუბაზი.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ვერა ხედავ, მზეს როგორი კოცონი უნთია?

— მოდი, ვჭამოთ, — შემოგვთავაზა გუბაზმა. მე და ჯუბომ ჯიბეები მოვიჩხრიკეთ.

— უჰ, ოთახიდან ფულის წამოღება დაგვიწყნია, — ვთქვით ერთხმად.

გუბაზმა თითქოს რაღაც იეჭვა, მაგრამ არ გვაგრძნობინა და იქვე, პლაჟზე მოტანტალე ბიჭუნას გამოელაპარაკა:

— რა გქვია ბიჭო?

— საბა, — უპასუხეს მშობლებმა.

— თვითონ ლაპარაკი არ იცის?

— არა, ჯერ სამისაც არ არის.

— ცუდია, — ვთქვი მე, — შარშან რომ საბა გაიცანი, მშვენივრად ლაპარაკობდა.

— აბა კაცო, პლაჟზე რასაც კი თვალს მოკრავდა, ყველაფერს თხოულობდა, მერე ველარ ერეოდა და ჭამაში მე მიხმარებდა.

გუბაზს უხასიათობა დათვის ბელის გამოჩენამ გაუნელა. ვიღაც მუცელგადმოგდებულ ფოტოგრაფს ბელისთვის თოკი მოება და ზღვის სანაპიროზე ძალით მოაკონწიალებდა.

— მოდი, ბელთან სურათი გადავიღოთ, — შემოგვთავაზა ჯუბომ.

გუბაზი წამოხტა, ლიპი რომ არ გამოსჩენოდა, ბელი მუცელზე მიიკრა და შუაში ჩაგვიდგა.



გამუცლულმა ფოტოგრაფმა მეორე დღესაც ჩამოიარა, გვიცნო და სურათების ქექვა დაიწყო.

— რამდენი უნდა გადავიხადო? — იკითხა ჯუბომ.

— 9 ლარი.

— რა ამბავია, გუშინ სამი არ გვითხარი?

— ერთ სურათზე გითხარით, თქვენ კი სამნი ხართ.

— ეტყობა, ბელიც ჩვენ გვიანგარიშა, — გაფანტა დაბნეულობა გუბაზმა.

საერთოდაც, ერთი ეგ იყო, გუბაზს შინიდან ფულის წამოღება დაავიწყდა, თორემ სხვა ყველაფერში მე და ჯუბოს მხარში გვედგა.

ერთხელ, მაგალითად, სანაპიროზე სეირნობისას, როცა ვიღაც ახმახი ველოსიპედით კინაღამ დამეჯახა, გუბაზი გამომესარჩლა.

— რას შვრები, შე ახვარო! — შეუტია მან.

— გაიმეორე, რა თქვი? — კბილები დაუკრაჭუნა ახმახმა.

— არაფერი უთქვამს, უბრალოდ თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა, — ვცადე სიტუაციის განმუხტვა.

გუბაზმა მოწინააღმდეგის შესაშინებლად ჯიბიდან მობილური დააძრო.

— ეგ არ გიშველის, თქვენი ბედი, რომ ხანდაზმულები ხართ, თორემ აქვე გაგათავებდით, — კიდევ ერთხელ დააკრაჭუნა კბილები ახმახმა და გაგვეცალა.

— აი, თავს რომ იპატარავებ ხოლმე, ასაკი როგორ გამოგვადგა, — მითხრა გუბაზმა, — ახალგაზრდები რომ ვყოფილიყავით, ხომ მაშინვე საიქიოს გაგვისტუმრებდა...

ამის შემდეგ სეირნობას მოვეშვით, სკამზე ჩამოვსხედით და პოლიტიკას შევებით. საუბარმა ისე შეგვიქცია, რომ წასვლისას გუბაზს ქუდი აღარ გაახსენდა, როგორც ჩანს, სკამზე დარჩა. მეორე დღეს დაზარალებული იქით ეცა, აქეთ ეცა, პატრულსაც გამოუძახა, მაგრამ დაკარგულს ვერ მიაგნო.

— აი, ხომ ხედავთ, — გვითხრა ნიშნისმოგებით მე და ჯუბოს, როცა მატარებელში ჩავსხედით, — მარტო ფული კი არა, ზოგჯერ ქუდიც მავიწყდება...

**ოთარ ხუციშვილი**

## ხსოვნა



### გიორგი კალანდარიშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას მოულოდნელად გამოაკლდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის №5 კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი კალანდარიშვილი** — შესანიშნავი სპეციალისტი, ბრწყინვალე პიროვნება და მოქალაქე.

1981 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სენაკის რკინიგზის საავადმყოფოში იწყებს მუშაობას ექიმ-თერაპევტად. 1983-86 წლებში ის მოსკოვის ი. პიროგოვის სახელობის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის მედიკო-ბიოლოგიური ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის ასპირანტია; კვლევებს აწარმოებს კლინიკური ალერგოლოგიის კვლევით ლაბორატორიაში ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. 1987 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „მკურნალობის ექსტრაკორპორული მეთოდების ზემოქმედება სისხლის ჰემოსტაზურ პოტენციალზე სუნთქვის ქრონიკული უკმარისობით ავადმყოფებში“. მას ირჩევენ იმავე კათედრის ასისტენტად, სადაც ის ხელოვნდება როგორც კლინიცისტი და პედაგოგი.

1990 წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე ასისტენტად. ამ კათედრაზე ხდება მისი როგორც ექიმის, მასწავლებლისა და მეცნიერის საბოლოო ფორმირება. გასაოცარი ადამიანური თვისებების, თანდაყოლილი შინაგანი პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ის თანდათან იმკვიდრებს საეტალონო პიროვნების სახელს.

2001 წელს, უკვე სტუდენტთა, კოლეგათა და პაციენტთა ნდობით, სიყვარულითა და პატივისცემით გარემოცული, იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ფილტვის ქრონიკული უკმარისობის არამედიკამენტური მკურნალობა“. ნაშრომში ის აჯამებს რუსეთისა და საქართველოს წამყვანი კლინიკების გამოცდილებას და იმუშავებს სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რომელთა ჭეშმარიტებაც შემდგომში სრულად დასტურდება საერთაშორისო გამოცდილებით.

იყო საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო პრესაში გამოქვეყნებულ 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორისაა ერთი მონოგრაფია და სახელმძღვანელო: „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია“, რომელიც მან კათედრის პატრიარქთან, პროფესორ ვ. გვანცელაძესთან თანაავტორობით შექმნა. იყო რამდენიმე ქვეყნის თერაპევტთა პროფესიული ასოციაციების წევრი, „შინაგან მედიცინაში“ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების თავმჯდომარე, სახელოვნებო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

დაიბადა და აღიზარდა ქ. სენაკში, მედიკოსთა — გოგი კალანდარიშვილისა და ლილი უჩანეიშვილის ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გამორჩეულ ოჯახში. ასეთივე გამორჩეული ოჯახი შექმნა მან თავის მეუღლესთან, ცნობილ ექიმთან მარინე ჯანჯღავასთან ერთად, სადაც ორი შესანიშნავი ვაჟკაცი აღუზარდა სამშობლოს.

გიორგი კალანდარიშვილი სრულიად მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, წავიდა შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოტენციალის სრულად წარმოჩენის ასაკში.

დაგვიტოვა დიდი ტკივილი, მაგრამ დიდი სითბოც. დაგვიტოვა მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორც ექიმმა, პედაგოგმა და მოქალაქემ.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის №5 კათედრა;**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები;**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი.**

## ქველმოქმედება

# პირველკურსელთა პატივსაცემად

**გუშინ** ახალი თეატრალური სეზონის პირველი თვე მიიწურა. ამ დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც შედგა ახალგაზრდა მომღერლის გია მახარაძის დებიუტი აბესალომის პარტიაში. გელა აბესაძემ კი პირველად იმღერა თანდარუხის პარტია. ეს სპექტაკლი საოპერო თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საქველმოქმედო იყო. სპექტაკლზე დასასწრებად მიწვეულნი იყვნენ პირველკურსელები — 600 სტუდენტი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან.

განათლების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ მადლობა გადაუხადა თეატრის ხელმძღვანელობას ამ ინიციატივისათვის.

**საკუთარი ინფ.**



მეუღლე ზოია, ძმა როლანდი, შვილები გიორგი, ნინო გაბრიჩიძეები, სიძე ზაზა ჯოხაძე, რძლები ანა გორგიშელი, მზია ჯინჯიხაძე, ძმისწულები დავითი და თინათინი, შვილიშვილები ალექსანდრე, თამარი, მარიამი, ელენე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ალექსანდრეს ძე გაბრიჩიძე

პანაშვიდი 4, 5 X, 17 სთ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპ №15, ბინა №31, გამოსვენება 6 X, 15 სთ-ზე, მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

---

ლამარა ჩორგოლაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზოია, ნინო, გია გაბრიჩიძეებს მეუღლისა და მამის

ომარ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ლორა ბალათურია, შვილები ვასიკო, დიმა მაღრაძეები, დედა შურა ცაგარეიშვილი, მამა შოთა მაღრაძე, და მაკა, სიძე ავთო ბაგალიშვილი, დისწულები ლანა, ლაშა ჯიბლაძეები, თათული, ელენე ბაგალიშვილები, ბიძაშვილები ქეთინო, ვალოდია, მამიდაშვილები ნანი, მარინა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ შოთას ძე მაღრაძე

პანაშვიდი 4, 5 X, 17 სთ. მისამართი ალ. ყაზბეგის 34ა, სადარბაზო III, სართული IX ბინა 99, გამოსვენება 6 X, 15 სთ. წმინდა ილია წინასწარმეტყველის ტაძრიდან, ალ. ყაზბეგის 34.

---

აზა, დოდო, იზა ბურჯანაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი

თემურ შოთას ძე მაღრაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ქეთინო, შვილიშვილები ნინო, ავთო, სიძეები გოჩა ნაცვლიშვილი, ჯუმბერ ახალბედაშვილი, დები ზინა, ეთერი, მედეა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ილარიონის ძე თევდორაძე

პანაშვიდი 4, 5 X, 17 სთ. დაკრძალვა 6 X, 14 სთ. მისამართი თემქის დასახლება, მე-3 მ/რ, III კვ. 41-ე კორპუსი, მე-4 სადარბაზო. მე-6 სართული.

---

გურამ ტატიშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, პროფესორი

გია (გიორგი) კალანდარიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 4, 5 X, 17 სთ. გამოსვენება 6 X, 15 სთ. თბილისი, ჯორჯაძის ქუჩა 5ა (ქაშვეთის ეკლესიასთან).

---

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ თემურ ჟღენტს გარდაეცვალა დეიდა

ციალა კალანდაძე-კარტოზია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლებანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.